ქალთა სოციალური აქტივობა ადგილობრივ თვითმმართველობაში

შემდგენელი ავტორები:
ნინო ციხისთავი, ნანა ბერეკაშვილი
კავკასიის ქალთა ქსელი, 2003

I რა არის გენდერული ტრენინგი;

II გენდერული სტერეოტიპები;

III გენდერის თვალსაზრისით განსხვავებული პოლიტიკები;

IV ადამიანის საყოველთაო უფლებები;

V ქალის უფლებათა დაცვის ძირითადი მექნიზმები;

VI ქალის მონაწილეობა მშვიდობის მშენებლობაში;

VII შესრულებული სამუშაოს შეფასება;

VIII ადგილობრივი თვითმმართველობა;

IX ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობა არჩევნებში და მთავრობაში;

X საკითხავი მასალა - ქალთა სოციალური აქტივობა ადგილობრივ თვიმმართველობაში:

1. გენდერი, გენდერული სტერეოტიპები;
2. ადამიანის უფლებები, ქალის უფლებები;
3. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა და გენდერულ სფეროში;
4. ქალთა მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში და ამომრჩეველთა განათლება;
5. ქსელური მუშაობა.

XI კავკასიის ქალთა ქსელს (CWN) შესახებ.

I რა არის გენდერული ტრენინგი

- გენდერული ტრენინგის მიზანია ცნობიერების შეცვლა, გენდერთან დაკავშიებული ცოდნის და უნარ-ჩვევების მიწოდება
- გენდერული ტრენინგი ეხება პიროვნულ, პოლიტიკურ, კულტურის და რელიგიის საკითხებს
- ძალიან მნიშვნელოვანია უნარ-ჩვევების ტრენინგის შეთავსება გენდერული ცნობიერების ტენინგთან

თუ ჩვენ ზედმეტად გავამახვილებთ ყურადღებას უნარ-ჩვევების შექმნაზე, მონაწილეები ისწავლიან ტექნიკას, მაგრამ შეინარჩუნებენ სტერეოტიპებს და სექსისტურ შეხედულებებს.
მაგრამ,
თუ ჩვენ ყურადღებას ზედმეტად გავამახვილებთ გენდერული ცნობიერების ამაღლებაზე, ჩვენ ამას მივაღწევთ, მაგრამ ბევრი არაფერი შეიცვლება, რადგან მონაწილეებს არ ექნებათ პტაქტიკული ცვლილების მიღწევის უნარი და ჩვევები.

<u>გენდერული ტრენინგის მეთოდოლოგია</u>

თუ ჩვენ მივაღწიეთ ურთიეთნდობას ტრენერსა და მონაწილეებს შორის, ჩვენ შეგვეძლება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება. ეს დაეხმარება ჯგუფს წარმატებით მიიღოს ცოდნა, აღმოაჩინოს და შექმნას პრობლემის ახალი გადაწყვეტები.

რას ვგულისხმობთ პარტისიპატორულ (მონაწილეობით) ტერნინგში/აქტიურ სწავლებაში?

პარტისიპატორული მეთოდები არის ყველაზე შესატყვისი, ეფექტური და სასიამოვნო მოზრდილი აუდიტორიისათვის.
პარტისიპატორული ტრენინგი არის ნაზავი პრეზენტაციებისა და პრაქტიკული სავარჯიშოებისა, რომელთა შორისაც შესაძლებელია აზრების, გამოცდილების და გრძნობების გაცვლა-გამოცვლა.

რა უნდა გავაკეთოთ ამისათვის?

<u>რჩევები ტრენინგისთვის</u>

შეეცადეთ იყოს ცოცალი და საინტერესო, და თქვენი მონაწილეების საქმიანობის შესაბამისი

- დააბალანსეთ თქვენს პროგრამაში პრეზენტაციების და ინტერაქტიური სავარჯიშოების და თამაშების შინაარსი
- შემოიტანეთ სიურპრიზის ელემენტი
- ყოველი თეორიული საკითხი გაამაგრეთ ცხოვრებისეული ამბით ან ანეგდოტით
- მიეცით მონაწილეებს საკმარისი დრო დისკუსიისთვის, შეკითხვებისათვის და მათი იდეების ჩამოყალიბებისთვის. წაახალისეთ მათი იდეები და გადაწყვეტილებები.
- სადაც შესაძლებელია, გამოიყენეთ სურათები ან ვიდეო მასალა, რათა მოხდეს ნასწავლის განმტკიცება.
- სასწავლო უნარ-ჩვევები ყველაზე კარგად ყალიბდება პრაქტიკაში. თქვენ ასწავლით მათ ახალ შეხედულებებს და ცხოვრების და აზროვნების ახალ გზებს. არ არის საკმარისი, რომ ისწავლონ მხოლოდ თეორია და შემდეგ გაიმეორონ, თქვენ უნდა დაეხმაროთ მათ განსხვავების შეგრძნებაში. შეამოწმეთ, ნამდვილად გაიგეს თუ არა პრაქტიკული მასალა.
- შეიძლება საკითხი სერიოზული იყოს, მაგრამ ადამიანები უკეთ სწავლობენ, როცა სასწავლო პროცესი გასართობ მომენტებსაც შეიცავს.
- ადამიანები სხვადასხვანაირად სწავლობენ. ზოგი ინფორმაციას უპირატესად ყურებით, ზოგიც თვალებით იღებს. ჩვენ მონაწილეებს ორივეს საშუალება უნდა მივცეთ.
- თამაშები და სიმღერებიც ცნობიერების ამაღლების სატრეინინგო ხერხია.
- გამოიყენთ ლექციები, ვიზუალური პრეზენტაციები, ფილმები, გამოცანები.
- ექსპერიმენტირება – ახალი ცდების და რისკის საშუალებას იძლევა პიროვნულ და ორგანიზაციულ დონეებზე.
- თუ ტრენინგზე ტონუსი ეცემა, გამოიყენეთ ენერჯაიზერი. ენერჯაიზერი სულიერ და ფიზიკურ აქტივაციას გამოიწვევს.

<u>ძირითადი სასწავლო ამოცანები</u>

სწავლების გასამტკიცებლად, ყოველი სესიის შემდეგ შეაჯამეთ ძირითადი საკითხები, სახელმძღვანელო პრინციპები.

მაგალითად:

- განამტკიცეთ აზრი, რომ გენდერული პერსპექტივის გამოყენება შესაძლებელია და რომ ეს მუდმივი პროცესია.
- აღნიშნეთ, რა დილემები და წინააღმდეგობანი არსებობს.
- დაადგინეთ, ყოველი კონკრეტული ამოცანისთვის შესაბამისი რესურსები
- გააცნობიერებინეთ რა პირადი შედეგების მომტანია ესა თუ ის გენდერული ცვლილება.

<u>სასწავლო ტექნიკები</u>

ტვინის შტურმი;

წყვილური სავარჯიშოები;
სავარჯიშოები მცირე ჯგუფებში;
მოქმედებათა გეგმის შემუშავება;
ანალიზი, შემთხვევათა ანალიზი;
შემოქმედებითი/კვლევითი.

<u>მოამზადეთ სატრენინგო ტექნიკური საშუალებები</u>

ფლიპჩარტები;
ფერადი ქაღალდები;
პროექტორი;
ბურთი;
ვიდეო კამერა.

II გენდერული სტერეოტიპები

რა არის გენდერი
განსხვავებანი გენდერსა და სქესს შორის

სქესი ბიოლოგიურად არის განსაზღვრული, იგი უცვლელია: გენდერი სოციალურად განპირობებულია და იცვლება დროში: ადამინები იბადებიან ქალებად ან მამაკაცებად, მაგრამ მათ ასწავლიან:

- ✓ როგორ მოიქცენ შესატყვისად
- ✓ განწყობებს
- ✓ როლებს
- ✓ ქცევებს
- ✓ სხვებთან ურთიერთობას

ნასწავლი ქცევა ქმნის **გენდერულ იდენტობას** და განსაზღვრვს **გენდერულ როლს**. გენდერული როლები ქალებისა და მამაკაცებისთვის ძალიან განსხვავებულია სხვადასხვა კულტურებში და ასევე ერთი კულტურის (საზოგადოების) სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში.

გენდერულ როლებზე მოქმედებს:

- ✓ ასაკი,
- ✓ ეთნიკური კუთვნილება,
- ✓ სოციალური კლასი,
- ✓ ეკონომიური პირობები,
- ✓ რელიგია.

კულტურა იცვლება, იგი დინამიურია. იცვლება სოციალურ-ეკონომიური პირობებიც, ამდენად იცვლება გენდერიც.

სქესი – გენდერი

		გენდერი	**სქესი**
1	ქალები აჩენენ ბავშებს. მამაკაცები არა		
2	პატარა გოგონები ნაზები არიან. ბიჭები უხეშები არიან.		
4	ქალს შეუძლია ბავშვი ძუძუთი კვებოს. მამაკაცს შეუძლია ბავშვი ბოთლით გამოკვებოს.		
3	ინდოეთის სოფლის მეურნეობაში ქალები მამაკაცის ხელფასის 40% ღებულობს		
5	მშენებლები მამაკაცები არიან		
6	ძველ ეგვიპტეში მამაკაცები შინ მუშაობდნენ. ქალებს ოჯახის ბიზნესი მიჰყავდათ. ქალს რჩებოდა მემკვიდრეობით ქონება, მამაკაცს არა.		
7	მამაკაცს გარდამავალ ასაკში ხმა ეცვლება. ქალს არა.		
8	224 კულტურის გამოკვლევის თანახმად, 5 -ში მამაკაცი ასრულებს საჭმლის მომზადების ყველა ფუნქციას, 36 – ში ქალი უძღვება ყველა სამშენებლო საქმიანობას.		
9	გაერო-ს სტატისტიკის თანახმად, ქალები მთელი მსოფლიოს სამუშაოს 67% ასრულებენ, თუმცა მათი შემოსავლები მსოფლიოს მაშტაბით მხოლოდ 10% შეადგენენ		

III გენდერის თვალსაზრისით განსხვავებული პოლიტიკები

გენდერულად ბრმა პოლიტიკა

გენდერულად "ბრმა" პოლიტიკა, პროგრამები, პროექტები უგულვებელყოფს ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ მოხოვნილებებს. "ჩვენ ყველას ერთნაირად ვეპყრობით".
ასეთ შემთხვევებში:

- ✓ არ ხდება ქალისა და მამაკაცის მოთხოვნილებების, პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინება. მოსახლეობა, სამუშაო კოლექტივი ან სხვა ჯგუფი განიხილება ერთგვაროვან ჯგუფად;
- ✓ არ იწარმოება დაცალკევებული სტატისტიკა: მაგ. ვის უკავია უმაღლესი თანამდებობები; ვის აქვს გადამზადების და კვალიფიკაციის მიღების მეტი შესაძლებლობა;

გენდერულად ნეიტრალური პოლიტიკა

ეს პოლიტიკა ზოგჯერ გამოსადეგია მოკლევადიანი პრობლემების გადასაჭრელად.

- ✓ ასეთი მიდგომისას ყურადღება მიმართულია ქალების პრაქტიკულ და არა სტრატეგიულ მოთხოვნილებებზე;
- ✓ უცვლელი რჩება რესურსების და პასუხისმგებლობების არსებული განაწილება.

გენდერულად გაცნობიერებული პოლიტიკა

- ✓ გენდერული ცნობიერება ნიშნავს შევხედოთ ახალი თვალებით და დავინახოთ გენდერული განსხვავებები. ამ მიდგომას ახასიათებს:
- ✓ გაცნობიერება და აღიარება, რომ არსებობს განსხვავებანი;
- ✓ გენდერულად დაცალკევებული მონაცემების შეგროვება;
- ✓ კონსულტირება, როგორც მამაკაცებთან, ისე ქალებთან.

გენდერულად ტრანსფორმაციული პოლიტიკა

გულისხმობს:

- ✓ არსებული განსხვავებების, დისკრიმინაციის და ჩაგვრის მიზეზების შესწავლას:
- ✓ ორივე სქესის პრაქტიკული და სტრატეგიული მოთხოვნილებების გათვალისწინებას (ქალისა და მამაკაცის თვალსაზრისიდან);
- ✓ არსებული გენდერული როლების და ტრადიციების ეჭვის ქვეშ დაყენებას;
- ✓ ქალებისა და მამაკაცების ურთიერთობის გაუმჯობესების გაძღოლას მთელ საზოგადოებაში.;

- ✓ გარკვეული უპირატესობების და პასუხისმგებლობების მინიჭებას ქალებისა და მამაკაცებისთვის (ჰარმონიული და სამართლიანი პირობების მისაღწევად);
- ✓ ქალების და მამაკაცების პოტენციალის გაძლიერება, რათა მათ ჰქონდეთ თანაბარი შანსები იყვნენ დაქირავებულნი, არჩეულნი და მომზადებულნი.

<u>უჩინარობა</u>

თუ თქვენ არ შეიტანთ ტრანსფორმაციულ პოლიტიკას თქვენს საქმიანობაში თქვენ:

- ✓ უცვლელად დატოვებთ რესურსების და პასუხისმგებლობების არსებულ უსამართლო განაწილებას;
- ✓ ვერ აამაღლებთ ცნობიერებას და იმის შეგნებას, რომ არსებობს გენდერული განსხვავებანი და მოსახლეობის ერთი (გენდერული) ნახევარი არსებობს გენდერული დისკრიმინაციის და ჩაგვრის ქვეშ.

ტრადიციული შეხედულებების მიხედვით

ქალი	**მამაკაცი**
მგრძნობიარეა, სუბიექტურია	საქმიანია, მარჯვეა, ყველაფერი გამოსდის
ესმის სხვისი გრძნობები, ზრდილობიანია, მიმტევებელია	რაციონალურია, ობიექტური, ლოგიკური
ლაპარაკობს ბევრს, გრძნობა და აზრი არეული აქვს	მალავს საკუთარ გრძნობებს, არ ამჟღავნებს, თუ რაზე ფიქრობს
დიდი საჭიროება აქვს დაცვის, ანგარიშს უწევს სხვას, მართვადია, მზრუნველია,	დამოუკიდებელია, მამაკაცმა იცის, რას აკეთებს, ჯიბრიანია, ლიდერი და აგრესიულია
დიდ ყურადღებას უთმობს გარეგნობას, არ იცის რა ჩაიცვას, არ არის თავის თავში დარწმუნებული	დარწმუნებულია საკუთარ თავში, ადვილად წყვეტს, უყვარს თავგადასავლები

საზოგადოება თვითონ ბადებს ტრადიციულ ქალებს და მამაკაცებს.

IV ადამიანის საყოველთაო უფლებები

ადამიანის უფლებები საყოველთაოა – ისინი ყველას კუთვნილებაა, ყველგან და ისინი ერთნაირია ყველა ადამიანისათვის. ყველა ადამიანს აქვს ერთი და იგივე ძირითადი საჭიროებანი და უფლებები და აუცილებელია მათი დაცვა. ადამიანის უფლებები უნივერსალურია, ე.ი. სხვადასხვა საკითხების შეფასებისათვის საერთო სტანდარტი გამოიყენება, მაგალითად საკვების მიღების უფლება ან პროდუქტიული ცხოვრების უფლება.

ადამიანის უფლებები ურთიერთდაკავშირებულია. ისინი არ ფუნქციონირებენ ვაკუუმში. ეს ხელს უწყობს ადამიანის უფლებების განუყოფლობას. სამოქალაქო უფლებები, პოლიტიკური უფლებები, სოციალური და კულტურული უფლებები არ შეიძლება განვიხილოთ ისე, თითქოს ისინი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. ისინი ავსებენ ერთმანეთს. სიტყვის თავისუფლება, უფლება თავად გადაწყვიტოთ თუ რამდენ ბავშვს გააჩენთ და როდის, დაკავშირებულია სხვა უფლებებთან. ეს უფლებები დამოკიდებულია, მაგალითად, ინფორმაციის მიღების უფლებაზე და ქალის უფლებებზე ოჯახში.

ადამიანის ძირითადი უფლებების გარანტიები არადისკრიმინაციულია – ისინი ადამიანების ყველა კატეგორიის კუთვნილებაა. ეს გულისხმობს, რომ არ უნდა განვასხვავოთ ადამიანები მათი რასის, სქესის, რელიგიის, ეთნიკურობის, ენის, ან სხვა სტატუსის მიხედვით.

ადამიანის უფლებების სამი თაობა

1 თაობა: მოქალაქის და პოლიტიკური უფლებები
უფლება სიცოცხლეზე, ძალადობისგან დაცულობაზე;
სიტყვის თავისუფლება;
საწმუნოების თავისუფლება;
ასოციაციებში შესვლის უფლება;
პოლიტიკაში მონაწილეობის უფლება (არჩევნებში);

2 თაობა: კონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები
ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, სამუშაოზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, საკვებზე;
ენაზე და კულტურაზე;
პროფესიულ გაერთიანებებზე;

3 თაობა: კოლექტიური უფლებები
განვითარებაზე;
სუფთა გარემოზე;
მშვიდობაზე.

V ქალის უფლებათა დაცვის ძირითადი მექანიზმები

ადამიანის უფლებები ფაქტობრივად გულისხმობდა მამაკაცთა უფლებებს, მათ მოქმედებებს და ამ მოქმედებათა დაცვას. ქალთა უფლებების ყველაზე დამახასიათებელ დაღვევებს ადამიანის უფლებები ვერ ფარავდა და ვერ უზრუნველყოფდა მათ დაცვას, ანუ იყო გენდერულად ნეიტრალური. კერძოდ, ქალთა უფლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა, განათლების მიღებისა, საკუთარი აზრის ქონისა, ოჯახში თანასწორუფლებიანობისა, ოჯახური ძალადობისგან დაცვის, რეპროდუქციული არჩევანისა – ადამიანის უფლებები ვერ წვდებოდა.

ასანიშნავია, რომ ქალის უფლებების დარვევეა ხშირად ხდებოდა და ხდება არა სახელმწიფოს მხრიდან (რაზეც აის ორიენტიებული ადამიანის უფლებები), არამედ კერძო სფეროში. ქალთა უფლებები გულისხმობს ადამიანთა უფლებების სურათისათვის დასრულებული სახის მიცემას, რათა ქალებმა ნამდვილად და სრულად და მამაკაცის თანასწორად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ქალთა მიერ საკუთარი უფლებებით სრულად სარგებლობა, უნდა განვიხილოთ ის დაბრკოლებები, რომლებსაც ისინი აწყდებიან. ტრადიციული სტერეოტიპები, რელიგიური შეხედულებები, ქალის და მამაკაცის ფუნქციების გამიჯვნა კერძოდ და საჯაროდ, ქალის დაბალი სტატუსი და ის, რომ ქალი ეკონომიურად და სოციალუად დამოკიდებულია მამაკაცზე – აი ზოგიერთი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ქალს სრულად ისარგებლოს ადამიანის უფლებებით მამაკაცთან თანასწორად.

საერთაშორისო სამართალში ქალის უფლებების თანასწორობაზე ზრუნვა დაიწყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებისთანავე.

გაერო-ს 1945 წლის ქარტია აღიარებს ქალების და მამაკაცების თანასწორ უფლებებს: "გაერთიანებული ერების ხალხები ადასტურებენ თავიანთ რწმენას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებში, პიროვნების ღირსებაში და ღირებულებაში, ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებში. . ."

ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი ვენის მსოფლიო კონფერენცია 1993 წელს, პირველი შემთხვევა იყო, როცა საეთაშორისო საზოგადოებრიობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ქალის ადამიანის უფლებები არის განუყოფელი, ინტეგრალური და დაუშორებელი ნაწილი ადამინის საყოველთაო უფლებებისა. ეს იყო მთელი მსოფლიოს ქალთა ოგანიზაციების მრავალწლიანი ლობირების და მრავალრიცხოვანი კამპანიების შედეგი.

ვენის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა მიღებული იქნა ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციაზე 1993 წელს. მასში აღნიშნულია, რომ ქალების მიერ ადამინის უფლებათა სრული გამოყენება უნდა გახდეს ყველა

მთავრობის და და გაერო-ს პრიორიტეტი. მასში ნათქვამია, რომ ქალის თანასწორი სტატუსი და ადამინის უფლებები უნდა ინტეგრიებულ იქნაას გაერო-ს ძირითად მიდგომებში და ქმედებებში. მსოფლიო კონფერენცია ხაზს უსვამს ქალის მიმათ ძალადობის აღმოფხვრისთვის მუშაობის მნიშვნელობას კერძო და საჯარო ცხოვრებაში. ამდენად, აღინიშნა საერთაშორისო და სახელმწიფოთა ვალდებულება და პასუხისმგებლობა ქალის მიმართ ძალადობის აღმოფხვრაზე საზოგადოებრივ და კერძო სფეროებში.

კონვენცია ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) წარმოადგენს ძირითად და ყოველმხრივ ინსტრუმენტს ქალის ადამიანის უფლებათა დაცვისა და განვითაების საქმეში. CEDAW მიღებულ იქნა და დაიწყო მისი რატიფიკაცია 1979 წლის 18 დეკემბერს, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 34/180 რეზოლუციიდან.

კონვენციის თანახმად, ქალის დისკრიმინაცია ნიშნავს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, გამიჯვნას ან შეზღუდვას, რასაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს, ან რომლის მიზანია ქალების უფლებების ან თავისუფლებების აღიარების ან გამოყენების შეზღუდვა, შესუსტება ან სრული უარყოფა (მუხლი 1

გაერო-ს დეკლარაცია ქალის მიმათ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ (1993 წელი), გამოჰყოფს ქალთა ჯგუფებს, რომლებიც განსაკუთრებით დაუცველნი არიან ძალადობისაგან, მათ შორის ქალები შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციაში.

დეკლარაცია ქალის მიმათ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ ქალის მიმათ ძალადობას განსაზღვრავს, როგორც:

"ნებისმიერი ძალადობის აქტს, რომელიც განხორციელებულია სქესობრივი ნიშნით, რომელიც გამოიწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს ფიზიკური, სქესობრივი ან ფსიქოლოგიური ზიანი ან/და ტანჯვა ქალებში. ძალადობა შეიძლება ხორციელდებოდეს დაშინება/მუქარის მსგავსი აქტების ჩადენით, იძულებით ან/და ნებისმიერი ქმედებით რომელსაც მოჰყვება თავისუფლების შეზღუდვა საზოგადოებრივ ან პირად ცხოვრებაში." (მუხლი პირველი)

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ადასტურებს დისკრიმინაციის მიუღებლობას და აცხადებს, რომ ყველა ადამიანი იბადება თავისუფლად და თანასწოად თავის ღირსებაში და უფლებებში და, რომ ყველას ენიჭება თავისუფლებანი და უფლებანი მიუხედავად მათი განსხვავებებისამ მათ შორის სქესობრივი განსხვავებებისა.

პეკინში, 1995 წელს, IV ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე გაერთიანებულმა მთავრობებმა შეიტანეს განსაზღვება, რომ ქალის უფლებები არის ადამინის უფლებები, პეკინის დეკლარაციის მე-14 მუხლში.
პეკინის დეკლარაცია და მოქმედების პლათფორმა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს, რომელიც მთავრობებმა გადადგეს ქალის და გოგონების უფლებების

დარღვევების გაცნობიერებასთან დაკავშიებით და მთავრობათა პასუხისმგებლობასთან დაკავშიებით.

VI ქალის მონაწილეობა მშვიდობის მშენებლობაში

<u>გენდერული მშვიდობის ფსიქოლოგია. რა იგულისხმება</u>?

ეს ნიშნავს, რომ მშვიდობის და ომის საკითხებში არ იყო გათვალისწინებული ქალი და პრევალირებდა მამაკაცის თვალსაზრისი.
რა უნდა გავაკეთოთ? გამოვკვეთოთ განსხვავებები და მსგავსებანი.

ვისი სახელები გვახსენდება მშვოდბის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით? აღმოჩნდება რომ მხოლოდ მამაკაცების.
ამიტომ აუცილებელია მშვიდობისმშენებლობაში გენდერული მიდგომის შეტანა:

- ქალები უნდა გახდნენ ყველა სამშვიდობო პროცესის მონაწილენი
- ქალებმა უნდა შეიმუშავონ მშვიდობის გეგმა, და არა მხოლოდ სამხედრო მამაკაცებმა
- არ არის სწორი ვიფიქროთ, რომ ჯერ მივაღწევთ მშვიდობას და მერე მივხედავთ გენდერულ პრობლემებს
-

ფემინიზმი **– იდეოლოგიაა, რომელიც აღიარებს, რომ მამაკაცებს და ქალებს თანაბარი ღირებულება აქვთ, მათი თანასწორობა უნდა იყოს აღიარებული ყველა საზოგადოებების მიერ**

რას აკეთებს ფემინიზმი? იგი უპირისპირდება მამაკაცთა დომინაციას/ბატონობას.
მშვიდობისმშენებლობაში გენდერული ხედვის თვალსაზრისით არსებობს ორგვარი მშვიდობის განმარტება:

1. ***ნეგატიური მშვიდობა*** როცა არ არის ომი, მაგრამ საზოგადოებაში არსებობს სტრუქტურული და პიროვნული ძალადობა, მაგალითად ოჯახური ძალადობა, გაუპატიურება, კონფლიქტები
2. ***პოზიტიური მშვიდობა***, როცა საზოგადოებაში არ არის ომი და სადაც არ არის სტრუქტურული და ირიბი ძალადობა, მაგალითად ძალადობა ქალებზე.

<u>რას იძლევა მშვიდობისმშენებლობის ფემინისტური ანალიზი</u>?

იგი გვაძლევს საშუალებას ამოვიცნით სპეციფიკური ქალური პრობლემები და საზრუნავი მშვიდობისმშენებლობასთან დაკავშირებით, იგი გულისხმობს

ქალურ თვალსაზრისსაც, მოუწოდებს მრავალფეროვანი და პლურალისტური მეთოდების გამოყენებას.

<u>რატომ გამოიყენება ძალადობა მიზნის მისაღწევად?</u>

ძალადობის პრიორიტეტი პატრიარქალურ საზოგადოებებში; საერთაშორისო, სოციალური და ოჯახური ძალადობას შორის ღრმა კავშირებია. ძალადობას ბადებს <u>მამაკაცთა ბატონობის საზოგადოება.</u>

რა არის ომი მამაკაცისთვის: უპირატესობის მოპოვების საშუალება; ბუნებრივი, ციკლური მოვლენა; გენეტიკური მემკვიდრეობა ჩვენი წინაპრებისგან – ცხოველებისგან; თავგადასავალი; მოსახლეობის შემცირების ბუნებრივი გზა; თავდაცვის საშუალება; ბოროტმოქმედება; აბსურდი.

რა არის ომი ქალისთვის: ტრაგედია.

<u>რა უშლის ხელს ქალთა ჩართვას მშვიდობის მშენებლობაში?</u>

არსებული ტრადიციული შეხედულება – ქალი არ უნდა ჩაერიოს იმ საქმეში რომლისაც არაფერი ესმის, იომოს თუ მშვიდობა დაამყაროს ეს მამაკაცის საქმეა და მოვალეობა, ქალი ჩუმად უნდა იყოს ან მორალურად, ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად ამოუდგეს მხარში.

რატომ ეხება მშვიდობის მშენებლობა ქალებს?

- ✓ ქალები და ბავშვები იქცევიან ომის/კონფლიქტის მთავარ მსხვერპლებად
- ✓ მათ ეხებათ კვების საკიხები
- ✓ ისინი ზრუნავენ ბავშვებზე და მათ მომავალზე
- ✓ ისინი იქცევიან ომის შედეგად ყველაზე ღატაკ ფენად
- ✓ ომის/კონფლიქტის შედეგად იმატებს ძალადობა ქალის მიმართ

<u>რას ნიშნავს მშვიდობისმშენებლობა ქალისთვის?</u>

ეს არის მშვიდობის ძლიერი ინსტიტუტების და მომავალზე ორიენტირებული სტრატეგიების შექმნა; მშვიდობიანი და ურთიერთგამოსადეგი ურთიერთობების /კავშირების შექმნა მხარეებს შორის; ამასთან ერთად, ეს არის ქალის თანასწორობის კონცეფციის შექმნა და არჩევანი ალტერნატული განვითარებისთვის ჩვენი (ქალების) ინტერესების, სურვილების და მოთხოვნების გათვალისწინებით (შესაბამისად).

<u>ქალის როლი კონფლიქტის სხვადასხვა ეტაპებზე</u>:

ქალის როლი ომის/კონფლიქტის დაწყებამდე - არის ყველაზე მნიშვნელოვანი და მდგომარეს კონფლიქტის პრევენციაში და საზოგადოებაში მშვიდობის კულტურის დანერგვაში;

კონფლიქტის დროს ქალის როლი არის უფრო ჰუმანიტარული და საპროტესტო;
ომის/კონფლიქტის შემდგომ ქალის როლი არის რეკონსტრუქცია

მშვიდობისმშენებლობის ფორმები

- ✓ პოლიტიკური
- ✓ სტრუქტურული/ინსტიტუციონალური
- ✓ სოციალური

სოციალურ მშვიდობისმშენებლობაში განსაკუთრებით ერთვებიან ქალები

<u>რას ეფუძნება ქალთა მშვიდობისმშენებლობა</u>

- გადაწყვეტების ძიება საკუთარ საზოგადოებაში
- ძალადობაზე უარის თქმა
- ადამიანის უფლებების აღიარება და პატივისცემა, კულტურათაშორისი ტოლერანტობის და ურთიერთგაგების ხელის შეწყობა
- უფლებამოსილების აღება საკუთარ თავზე

<u>ქალთა მშვიდობიმენებლობის 3 მიმართულება</u>

1. ქ**ალთა აქციები მშვიდობისათვის** – სამშვიდობო ბანაკები, მსვლელობები; მიტინგები; ფესტივალები.
ამ მიმართულებაში და მის შედეგად იქმნება კოალიციები, ვითარდება ქსელური მუშაობა, ხდება სულიერი შერიგება, დგება სამართლიანობის პრობლემა.

1915 წელს 13 ქვეყნის ქალების გაერთიანება ინტერნაციონალურ ლიგაში ომის გასაპროტესტებლად და შესაჩერებლად. მათ შექმნეს მანიფესტი და საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელიც დღესაც მუშაობს
არგენტინელი ქალები – "პლაზა დე მაიოს დედები"; სპარსეთის ყურის ომის წინააღმდეგ – Women for Mutual Security.

2. ანტიმილიტარისტული – მუშაობა მსოფლიოს და "გონების" დემილიტარიზაციისთვის

<u>რა არის მილიტარიზმი</u>?

ეს არის პროცესი, სადაც პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემები დამოკიდებულია სამხედრო პოლიტიკისგან

- ✓ აქციები და ბანაკები ჩრდილო ევროპაში და ბრიტანეთში NATO-s გადაწყვეტილების წინააღმდეგ რომ განელაგებინა ბირთვული იარაღი ამ ტერიტორიებზე 70-იანი წლების ბოლოს;
- ✓ ერთობლივი გამოსვლები და აქციები მილიტარისტული სათამაშოების წინააღმდეგ –ალჟირში, ფილიპინებზე, ჩილეში დაწვეს ასეთი სათამაშოები;
- ✓ სამხედროებისთვის საზოგადოებაში დაბრუნების ნორმალური პირობების შექმნა;
- ✓ ანტი ტრეფიკინგული მუშაობა, ადამიანებით ვაჭრობის და სექს ვაჭრობის წინააღმდეგ მოთხოვნები.

3. ქალთა მონაწილეობის ზრდა გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში და ამით ქალთა გავლენის გაზრდა

ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამშვიდობო ინიციატივების და ქალთა შესაძლებლობების გაძლიერებისთვს სამართლიანი მშვიდობის მისაღწევად. მხოლოდ ამ საშუალებით არის შესაძლებელი ქალთა დისკრიმინაციაზე საუბარი და იმაზე, თუ რა სჭირდებათ ქალებს.

<u>როგორ მუშაობენ ქალთა ჯგუფები</u>

- ქსელების საშუალებით;
- კოალიციების საშუალებით;
- პრაქტიკული ქმედებებით.

კოალიციების შექმნა მშვიდობისთვის

ეს არის რთული და დინამიური პროცესი, რომელიც შედგება როლებისგან, ფუნქციებისგან, ქმედებებისგანა რომელიც შეიცავს მრავალ მოქმედ პიროვნებას ცვლადი უნარ-ჩვევებით.

VII ადგილობრივი თვითმმართველობა

1. ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობა, დადგენილი წესით თვითმმართველობის ერთეულებში მათ მიერ შექმნილი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, კანონის საფუძველზე, საკუთარი პასუხისმგებლობით და დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად. (კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, მუხლი 1.)

2. ადგილობრივი მმართველობა არის სახელმწიფო აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ურთიერთკოორდინირებული საქმიანობა, რომელიც ადგილზე, მოსახლეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით უზრუნველყოფს სახელმწიფო ინტერესების დაცვას.

რა კომპეტენცია აქვს ადგილობრივ თვითმმართველობას – ანუ რა ევალება მას?

ადგილობრივი დებულებების მიღება,
შესწორება საჭიროებისას და კონტროლი მის შესრულებაზე.

საქართველოს კანონით:

– ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების ფლობა, პატრონობა და განკარგვა. მიწით სარგებლობის, მოხმარებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება, დამტკიცება, შესრულება, კონტროლი. გადასახადების, მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება.

იმ ტერიტორიის, რომელზედაც პასუხისმგებელია სოციალურ ეკონომიკური განვითარების პროგრამის შემუშავება, დამტკიცება, შესრულება.

ადგილობრივი სამსახურების და შესაბამისი საწარმოების შექმნა და ლიკვიდაცია. საბინაო და არასაცხოვრებელი ფონდის შექმნა და განკარგვა, კომუნალური მეურნეობა.

ადგილობრივი არქივის შექმნა და შენახვა; მოსახლეობისათვის ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

საინფორმაციო საშუალებების ორგანიზება და შენახვის ხელშეწყობა. ტერიტორიის გამწვანება, კეთილმოწყობა.

ადგილობრივი მნიშვნელობის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სპორტის საკითხების გადაწყვეტა;

ბიბლიოთეკების, თეატრების, კულტურისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების შექმნა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.

წყალმომარაგების სისტემის ორგანიზება, შენახვა განვითარება. შიდა სარგებლობის გზების შეკეთება, რეკონსტრიქცია და მშენებლობა.

ადგილობრივი მმართველობის კომპეტენცია:

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ადამიანის უფლებებისა და კანონიერების დაცვა.
ადგილობრივი ქონების განკარგვა, ფლობა, სარგებლობა.
ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა, ბუნებით სარგებლობა.

მიწით სარგებლობის საკითხის გადაწყვეტა. სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური და ვეტერინარული ღონისძიებათა განხორციელება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზება. განათლების, სკოლამდელი დაწესებულებების, ჯანდაცვის კულტურის სპორტისა და ტურიზმის საკითხების გადაწყვეტა.

ენერგიით, გაზით, წყლით მომარაგებისა და სამელიორაციო სისტემების ორგანიზაცია, მათი შენახვა განვითარება.

რაიონული მნიშვნელობის გზების შეკეთება, რეკონსტრუქცია და მშენებლობა. ადგილობრივი სახსრებით შექმნილი კავშირგაბმულობის ლოკალური ქსელების მართვა.

მოსახლეობის სოციალური დაცვა და დასაქმება. კატასტროფების, სტიქიური უბედურებების, ეპიდემიების ლიკვიდაცია.

სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელებისათვი ხელშეწყობა.

საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობისა და ტრანსპორტის რესურსების მობილიზირება.

სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შედგენა დაფინანსება.

სამობილიზაციო სამუშაოთა ჩატარება, სამხედრო-სასწავლო შეკრებებისას სასოფლოსამეურნეო პროდუქტებით მომარაგების ხელშეწყობა.

საჯარო საქმინობების პრინციპები და მიმართულებები სტრუქტურის აღწერა და ფუნქციის განსაზღვრა.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო მოხელეების ვინაობისა და სამსახურეობრივი მისამართის შესახებ ინფორმაცია გასცეს.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია ერთი კვირით ადრე გამოაცხადოს მომავალი სხდომის ადგილი და თარიღი. ცვლილებების შესახებ დროულად უნდა ეცნობოს მოსახლეობას.

დახურული სხდომის შემთხვევაში უნდა გამოცხადდეს კენჭისყრის შედეგები და გამოქვეყნდეს გადაწყვეტილების ოქმი.

საჯარო რეესტრში შემოსული ონფორმაცია ორი დღის ვადაში უნდა იქნეს ცნობილი თუ საიდან შემოვიდა ან ვის გაეგზავნა ეს ინფორმაცია.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია გამოყოს ინფორმაციის გაცემაზე პასუხიმგებელი საჯარო მოხელე. ყველას აქვს უფლება გაეცნოს საჯარო ინფორმაციას.

საჯარო ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს საჭირო ინფორმაციის ასლები.

პირს უფლება აქვს გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

საჯარო ინფორმაციის მიღება ან არ მიღება უნდა მოხდეს არაუგვიანეს ათი დღისა.

მოქალაქეს უფლება აქვს:

აქტიური მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს საქმიანობაში; დაესწროს სხდომებს. პასუხი მიიღოს შეკითხვაზე საკრებულოს თავმჯდომარისა და მდივნისაგან.

ყველას აქვს უფლება იცოდეს ინფორმაცია გარემოს შესახებ. მონაცემები იმ საშიშროებაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

მოქალაქის მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში

დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქეები უნდა ფლობდნენ სხვა და სხვა უნარ ჩვევებს, რათა აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. სამოქალაქო განათლება ცდილობს უზრუნველყოს მოქალაქეები შემდეგით:

1. ინფორმაციის მიღება და გამოყენება; პოლიტიკური სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მიღება მოქალაქის კოიმპეტენციაა.

2. მონაწილეობის შესაძლებლობა: პოლიტიკურ სიტუაციებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მოქალაქის ჩართვა და საკუთარი შეხედულებების დაფიქსირება, მოქალაქის კომპეტენციაა.

3. გადაწყვეტილების მიღება: მოქალაქეს უნდა შეეძლოს მიიღოს გონუვრული გადაწყვეტილება მმართველობის და მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებით.

4. კრიტიკული აზროვნება: სამართლიანობის, ეთიკის, მორალის და პრაგმატულობის ნორმების დაცვა და გამოყენება; ადამიანებზე, ინსტრუმენტებზე, პოლიტიკაზე, მიღებულ გადაწყვეტილებებზე საკუთარი აზრის, შეხედულებების დაფიქსირება მოქალაქის კომპეტენციაა.

5. ურთიერთობის დამყარება: იდეების ურთიერთ გაცვლა სხვა მოქალაქეებთან, ლიდერებთან და სახელმწიფო მოხელეებთან მოქალაქის კომპეტენციაა.

6. თანამშრომლობობა – ჯგუფებთან, ორგანიზაციოებთან და საერთოდ მოქალაქეთა თანამშრომლობა მოქალაქეთა კომპეტენციაა.

7. ინტერესების განვითარების ხელშეწყობა: ბიუროკრატიულ ინსტიტუტებთან მუშაობა, კარიერის შექმნისა და საკუთარი ინტერესებისა და ფასეულობების დაცვისათვის მოქალაქის კომპეტენციაა.

ეს უნარ-ჩვევები შეესაბამება ყველა მოქალაქის ძირითად პრინციპებს: სქესის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის, სოციალური კლასის ან სხვა ნიშანთვისებები განურჩევლად, რომელსაც მოქალაქეები ასრულებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

VIII ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობა არჩევნებში და მთავრობაში

ვიცით, რომ ქალებს, მამაკაცის თანასწორად, აქვთ უფლება . . .
ხმის მიცემისა;
იყოს რეგისტრირებული როგორც კანდიდატი;
იყოს წარდგენილი პოლიტიკური პარტიიდან;
იყოს არჩეული;
იყოს დანიშნული აღმასრულებელ ხელისუფლებაში;
ეკავოს ნებისმიერი თანამდებობა;
წარმოადგინოს თავისი მთავრობა საერთაშორისო ორგანიზაციებში
ხელისუფლებაში, მთავრობაში ყოფნისას, ქალი მიმართავს ძალისხმევას, რათა. . . .

- **მიაღწიოს კონსენსუსს;**
- **უპირატესობა მიანიჭოს მშვიდობის საკითხებს**
- **იზრუნოს გაემოზე**
- **იზრუნოს სოციალური სამათლიანობაზე.**
- გსურთ თქვენს მთავრობაში მეტი ქალი იყოს წარმოდგენილი?
- გაანათლეთ ამ მიმართულებით ამომრჩევლები;
- დააფუძნეთ საარჩევნო სისტემა თანაბარ
- წარმომადგენლობაზე;
- დააწესეთ ქვოტები (30%-33%-იანი ქვოტები
- კანდიდატებისთვის ან საარჩევნო ადგილებისთვის;
- მოამზადეთ ქალები ლიდერობისათვის;

- არჩევნებში და დანიშვნების დროს მიზნად დაისახეთ
- გენდერული ბალანსის მიღწევა (50:50).

ვაფასებთ შესრულებულ სამუშაოს

- გსურთ რომ თქვენი ქალაქის ქუჩები იყოს სუფთა და მოვლილი?
- გსურთ რომ წყლით მომარაგება იყოს შეუფერხებელი?
- გსურთ რომ საბიუჯეტო სახსრები მიზნობრივად და ეფექტურად დაიხარჯოს?
- გსურთ რომ ქალაქში ცხოვრების დონე გაუმჯობესდეს?

ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგის ზუსტი შეფასება დაგვეხმარება, რომ სურვილები სინამდვილედ იქცეს

რას წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს შეფასება?

- ეს არის მართვის მეთოდი, რომელიც მუდმივად ზომავს საზოგადოებრივი მომსახურების საბოლოო შედეგს (პროდუქტს)
- ეს არის შესრულებულ სამუშაოზე ინფორმაციის გამოყენება, რათა გაუმჯობესდეს მომსახურება და გაიზარდოს მმართველობის გამჭვირვალობა.
- ეს არის გადაწყვეტილების მიღებაში დახმარება მენეჯერების, არჩეული ხელისუფლების, რიგითი მოხელეებისათვის და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის მათ ყოველდღიურ საქმიანობაში;
- ეს არის ინფორმაციის წყარო თუ რამდენად კმაყოფილი არიან მოქალაქები ხელისუფლების მიერ შესრულებული სამუშაოთი.

რა მოაქვს შესრულებული სამუშაოს შეფასების მენეჯმენტს?

- მომსახურების ხარისხისა და შედეგების გაუმჯობესება;
- უწყების (სამსახურების) მიერ წარმოდგენილი მოთხოვნების დასაბუთება;
- მომსახურების მიმწოდებელთა პასუხისმგებლობა არჩეული ხელისუფლებისა და მოსახლეობის წინაშე შესრულებული სამუშაოს შედეგებზე;
- მოქალაქეთა ნდობის გაზრდა ადგილობრივი ხელისუფლებისადმი;
- მომსახურების უფრო მეტი ორიენტაცია მომხმარებელთა მოთხოვნებზე;

მთავარი მახასიათებლები

- შესრულებული სამუშაოს ეფექტურობის შეფასება კონცენტრირებულია უშუალოდ შესრულებული მომსახურების შედეგებზე და არა მხოლოდ მის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე.
- ორიენტირებულია მომხმარებელთა საჭიროებებზე.

როგორია მომხმარებლის როლი?

- პროგრამებისა და მომსახურების შესახებ საჯარო შეხვედრებზე დაწრება, (მაგ. ბიუჯეტი ან დაგეგმილი ინვესტიციები.)
- იმ ჯგუფების შეხვედრებში მონაწილეობა, რომლებისგანაც ხელისუფლება ცდილობს გაიგოს მოქალაქეთა მოსაზრებები საზოგადოებრივ მომსახურეობაზე.
- მონაწილეობა მომხმარებელთა გამოკითხვებში, რომლებიც გამიზნულია მოსახლეობის საჭიროებების გამოსავლეანდ და საზოგადოებრივი მომსახურებების შესაფასებლად.

როგორ განვახორციელოთ შესრულებული სამუშაოს შეფასების მართვა?

მომსახურების მოცულობისა და არსებული რესურსების მიხედვით, შესრულებული სამუშაოს ეფექტურობის მართვის განვითარებისათვის თქვენ ფართო არჩევანი გაქვთ.

- თითოეულ მომსახურების სექტორში ჩამოაყალიბეთ შესრულებული სამუშაოს ინდიკატორები და თვალი ადევნეთ მათ. წარადგინეთ ეს ინფორმაცია და გადაწყვეტილებანი ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღეთ;
- დანერგეთ თქვენს უწყებაში იმგვარი სისტემა, რომლიც აერთიანებს სტრატეგიულ დაგეგმარებას, მიზნებისა და ამოცანების დასახვას, მოქალაქეთა თანამონაწილეობას და შესრულებულ სამუშაოზე ინფორმაციის შეგროვებასა და გამოყენებას;
- შეიმუშავეთ მომსახურების გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა, თვითოეული თითო როგორიცაა წყალი, ელექტრომომარაგება, განათლება და ა.შ.

- სექტორისათვის, როგორიცაა წყალი, ელექტრომომარაგება, განათლება და ა.შ.



როგორ მოვიპოვოთ ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს ეფექტურობის მაჩვენებლებზე?

- მომხმარებელთა გამოკითხვები;
- კვალიფიცირებული დამკვირვებლის შეფასება;
- უწყებრივი მონაცემები.

როგორ გამოვიყენოთ მოპოვებული ინფორმაცია?

- საზოგადოებასთან ურთიერთობა საჯარო მომსახურების რეიტინგების გამოქვეყნებით:
- მომსახურების გაუმჯობესების დაგეგმვა და პრიორიტეტების გამოყოფა;
- შესრულებული სამუშაოს ეფექტურობაზე მოპოვებული ინფორმაციისა და მომსახურებებაზე ყოველდღიური რეგულარული ინფორმაციის ერთმანეთთან შეჯერება.
- მოქმედი, მიმდინარე კონტრაქტები.

რა ღირს შესრულებული სამუშაოს ეფექტურობის მენეჯმენტი?

- ადგილობრივ მმართველობას და მის შესაბამის სტრუქტურებს ამ სისტემის დანერგვა შეუძლიათ დამატებითი ხარჯების გარეშე.
- ურბანული ინსტიტუტი უზრუნველყოფს თქვენი უწყების თანამშრომელთა თრენინგს, რომ ისინი გაეცნონ შესრულებულ სამუშაოზე ინფორმაციის მოპოვების პროცედურებსა და მათი გამოყენების მეთოდებს;
- ურბანული ინსტიტუტი დაეხმარება მათ ინფორმაციის შეგროვებაში შესრულებული სამუშაოს ეფექტურობის მართვის მეთოდები და პროგრამები ურბანული ინსტიტუტის მიერ დანერგილია მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში:

- ალბანეთი
- სასომხეთი
- საქართველო
- უნგრეთი
- ინდონეზია
- რუსეთი

თუ თქვენთვის მნიშვნელოვანია თქვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შედეგი, მაშინ შესრულებული სამუშაოს ეფექტურობის შეფასების მენეჯმენტი თქვენთვის არის შექმნილი!

თუ გსურთ შესრულებული სამუშაოს მართვის სისტემის დანერგვა თქვენს უწყებაში, ჩვენ დაგეხმარებით მის დაწყებაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ურბანული ინსტიტუტი,
საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის რეფორმა

ქალთა სოციალური აქტივობა ადგილობრივ თვითმართველობაში

საკითხავი მასალა

<u>**თემები:**</u>

I გენდერი, გენდერული სტერეოტიპები;

II ადამიანის უფლებები, ქალის უფლებები;

III საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა და გენდერულ სფეროში;

IV ქალთა მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში და ამომრჩეველთა განათლება;

V ქსელური მუშაობა.

I გენდერი, გენდერული სტერეოტიპები

<u>**ბუნებრივია თუ არა ტრადიციული გენდერული როლები?**</u>

მე-19 საუკუნის დასასრულს წარმოიშვა ქალთა მოძრაობა და ფემინიზმი; ეჭვი შეიტანეს იმაში, რომ ბუნებრივია ტრადიციული გენდერული როლების არსებობა. თანდათან გამოვლინდა, რომ გოგონების-ქალების და ბიჭების-მამაკაცების ქცევა და დამახასიათებელი თვისებები წარმოიშვა არსებული, კონკრეტული პირობების გამო.

ექსპრესიულობის და სიმარჯვის ცვლა ქალებსა და მამაკაცებში საქმიანობის მიხედვით (Eagly, 1987)

მიკუთვნებული თვისება	**დასაქმების ტიპის აღნიშვნის გარეშე**	**მოსამსახურე**	**უმუშევარი**
ქალი ექსპრესიულია	3,82	3,23	4,20
ქალი მარჯვეა	3,06	3,60	2,88
მამაკაცი ექსპრესიულია	2,99	3,28	4,11
მამაკაცი მარჯვეა	3,41	3,40	2,88

მონაცემები გვიჩვენებს, რომ "სიმარჯვესთან" აკავშირებენ მას, ვინც მუშაობს, ხოლო ვინც სახლში ზის (დიასახლისი, უმუშევარი) აკავშირებენ "ექსპრესიულობასთან". რაც განსაკუთრებით არის აღსანიშნავი, სახლში "დაჯდომა" ამცირებს "სიმარჯვეს" და ზრდის ექსპრესიულობას, ე.ი. მამაკაცები სახლში ჯდომით ხდებიან უფრო მეტად მოლაპარაკეები, როგორც დიასახლისები.
უფრო მეტად ხდება მიღებული სიმონა დებოვუარის სენტენცია იმის შესახებ, რომ ქალად არ იბადებიან, ქალი ხდებიან. იგივე ითქმის კაცზეც.

ძალაუფლება ეხმარება ტრადიციულ მამაკაცებს იმაში, რომ მათ საკუთარი თავი მამაკაცებად იგრძნონ. ძალაუფლების დაკარგვის შემთხვევაში მამაკაცი ჩიხში ემწყვდევა და შეიძლება მოძალადე გახდეს.

1. ძალაუფლება, კონკურენცია და კონტროლი, აუცილებელი წინაპირობაა კაცობის დამკვიდრებისა და შენარჩუნებისათვის. მამაკაცი თავს ნამდვილ კაცად გრძნობს, როცა სხვა მამაკაცზე მაღლა დგას და "მოუგებს" მას.
2. თვითკონტროლი და სხვა მამაკაცის კონტროლი არის მისი დაცულობის გარანტი. მამაკაცები ქალებს იქვემდებარებენ მათზე კონტროლის მეშვეობით, მაგ. ფულის გამოყოფით. თუ ამ ტიპის კონტროლი შეუძლებელია, მაშინ მიმართავენ ძალადობას.
3. მამაკაცს სჯერა, რომ მისი პირადი ბედნიერება მიიღწევა და დამოკიდებულია "მაგარ" სამსახურზე და წარმატებების მიღწევაზე.
4. მამაკაცის თვითშეფასება და თვითაღიარება ბევრადაა დამოკიდებული მის მიღწევებზე. კაცის არასრულფასოვნება და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, როგორც წესი, სამსახურთანაა დაკავშირებული.
5. მამაკაცები გრძნობებსა და ემოციებში ხედავენ ქალურობის ნიშნებს. მამაკაცები არ ტირიან! სისუსტის გამჟღავნება იგივეა, რაც ქალურობის დემონსტრიტრება. ქალურობის გამჟღავნების შიში ერთ-ერთი ყველაზე დიდი შიშია მამაკაცისთვის.
6. დახმარებისა და მხარდაჭერის ძებნა სხვებთან მამაკაცებში მიანიშნებს ქალურობის გამოხატვას. ცნობილია, რომ მამაკაცები არ მიდიან ექიმთან, სანამ მათი მდგომარეობა არ გახდება კრიტიკული.
7. მეგობრულ სიახლოვეს სხვა მამაკაცებთან გაურბიან – თითოეული მამაკაცი შეიძლება კონკურენტი გახდეს. მათ ურჩევნიათ თავისი პრობლემები ქალს უამბონ, ვიდრე მამაკაცს.
8. ძირითადი საშუალება კაცობის დამტკიცებისა არის სექსუალობა.

<u>გენდერული განსხვავებები: მითი თუ რეალობა?</u>
<u>შეიძლება თუ არა გენდერული სტერეოტიპები ადექვატური იყოს?</u>

სტერეოტიპები, როგორც წესი, არასწორი და შეცდომაში შემყვანია, თუმცა ზოგი მათგანი შეიძლება ადექვატურად ასახავდეს რეალურ განსხვავებებს ჯგუფებს შორის. და მაინც, რამდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ქალები და მამაკაცები? ახლა ფსიქოლოგიაში დომინირებს აზრი, რომ რაღაც

განსხვავება ქალებსა და მამაკაცებს შორის მაინც არის მაგრამ არა ისეთი დიდი, როგორც ვარაუდობენ (agly, 1987)

- ✓ ხშირად ჰგონიათ, რომ გოგონებს უფრო განვითარებული აქვს მეტყველება, ვიდრე ბიჭებს. სინამდვილეში, ეს განსხვავება უმნიშვნელოა და ადრეულ ასაკშივე ქრება. (ეინგოლდ, 1988)
- ✓ ხშირად საუბრობენ განსხვავებულ სივრცით ორიენტაციაზე. თუმცა, გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ეს ყოველთვის ასე არ არის;
- ✓ გავრცელებულია აზრი განსხვავებაზე მათემატიკურ აზროვნებაში, მაგრამ ამერიკაში ჩატარებულმა გამოკვლევამ, რომელშიც მონაწილეობდა 3 მლნ. მამაკაცი და ქალი, ეს მითი არ დაადასტურა; საქმე ის გახლავთ, რომ ბიჭები თავიდანვე უფრო დაინტერესებულნი არიან ტექნიკური საგნებით;
- ✓ დადასტურებულია განსხვავება აგრესიულობის დონესა და ძალადობრივ ქცევაში მამაკაცებში. აგრესიულობის მიზეზი მრავალია, დაწყებული ჰორმონალური ფაქტორებიდან, დამთავრებული დასწავლილი ძალადობრივი ქცევით. ზოგჯერ მეტი აგრესიულობა გამოწვეულია მეტი ფიზიკური აქტივობით;

დამოკიდებულება ქალებსა და კაცებს შორის რომ შეიცვალოს, და ე.ი. დაინგრეს პატრიარქატი, ზოგჯერ აუცილებელია არაპოპულარული ზომების მიღებაც, მაგ., ქვოტების შემოღება, რომლებიც სუსტებს უფრო მეტ შანსებს აძლევს. კარგია ისეთი ქვოტები, რომლებიც, შეიძლება საწყის ეტაპზე უსამართლოდ გამოჩნდეს ერთი ჯგუფის მიმართ, მაგრამ საბოლოოდ, სარგებლობა მოაქვს მთელი საზოგადოებისთვის.

ტრადიციულ გენდერულ როლებს წარმოშობს ***პატრიარქატი***

პატრიარქატი, ეს არის ინსტიტუციონალური გენდერული როლების სისტემა, სადაც დომინირებენ მამაკაცები, განსაკუთრებით ფასობს მამაკაცურობა, ხოლო ქალები დაქვემდებარებული არიან მამაკაცებზე (ლერნერ, 1985).

გქონდეს ძალაუფლება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, იყო გამარჯვებული. პატრიარქატი ჩაგრავს არა მარტო ქალებს, არამედ მამაკაცებსაც.

სოციალური და ჯანდაცვის სტატისტიკა ნათელყოფს, რომ პატრიარქალური საზოგადოება ძვირად უჯდება მამაკაცებსაც, ეს გამოიხატება მათ ნაადრევ სიკვდილიანობაში.

შრომის არსობრივი ცვლილებები

ცვლილებები შეიძლება გამოწვეულ იქნან შრომის ხასიათით. ინფორმაციულ საზოგადოებაში ფიზიკური ძალა აღარ თამაშობს განსაკუთრებულ როლს. სამუშაო შეიძლება სახლშიც შესრულდეს. კომპიუტერთან მუშაობისას მნიშვნელობა არ აქვს, ქალი ხარ თუ მამაკაცი. ახალ შრომით ბაზარზე გაქრება ცნებები "ქალის და მამაკაცის" საქმე. სქესი აღარ თამაშობს როლს: მთავარია განათლება და უნარები.

ახალი შრომის ბაზარი მამაკაცებს მძიმე მდგომარეობაში აყენებს, რადგან ისინი მიჩვეულნი არიან, საკუთარი თავი განსაზღვრონ თავისი სამუშაოთი (სამუშაო ადგილით).

ახალ საზოგადოებაში იზრდება ინდივიდუალიზმის და პლურალიზმის როლი. ტრადიციული გენდერული როლები იშლება – "ქალურობა" და "მამაკაცურობა" უფრო მრავალფეროვანი ხდება.

II ადამიანის უფლებები, ქალის უფლებები

ადამიანის უფლებები არის ის უფლებები, რომლებიც აქვს ყოველ ადამიანს და რომლებითაც მას შეუძლია ისარგებლოს უბრალოდ იმის გამო, რომ იგი ადამიანია.

ადამიანის უფლებები ეფუძნება იმ ფუნამენტურ პრინციპს, რომ ყველა ინდივიდს აქვს ღირსება და რომ განურჩევლად სქესის, რასის, ენის, ეროვნების, ასაკის, კლასის და რელიგიური თუ პოლიტიკური რწმენისა, მათ თანაბად შეუძლიათ ისარგებლონ ამ უფლებებით.

1993 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო კონფერენციაზე მთავრობებმა დაადასტურეს ვენის დეკლარაცია და აღნიშნეს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა ქვეყნის მთავრობის უპირველესი მოვალეობაა.

მთავრობები ხელს აწერენ ხელშეკრულებებს ადამიანის უფლებების შესახებ, მაგრამ მთავრობები არ სარგებლობენ ადამიანის უფლებებით. ამ უფლებებით სარგებლობენ მხოლოდ ადამიანები. მთავრობებს აქვთ ვალდებულება და ძალა, რომ დაიცვან ადამიანის უფლებები, მაგრამ ეს უფლებები მხოლოდ ინდივიდების საკუთრებაა.

მთავრობები ანგარიშვალდებულნი არიან საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის წინაშე უზრუნველყონ ადამიანის უფლებების დაცვა. მთავრობებმა უნდა დაიცვან ადამიანები მათი უფლებების დარღვევისაგან კერძო პირებისა თუ სახელმწიფო მოხელეების მხრიდან.

ადამიანის უფლებათა აღიარების საქმეში მთავრობათა როლი სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს:

- პატივისცემა: პირდაპირი ქმედება მთავრობის მხრიდან
- უზრუნველყოფა და დაცვა: მთავრობა უზრუნველყოფს, რომ სხვებმა არ დაარღვიონ ადამიანის უფლებების კანონმდებლობა.
- ხელშეწყობა: ზომების მიღება უფლებებით სარგებლობის გასაადვილებლად.

მთავრობის მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა პრინციპებს. ქვეყნის ხელმძღვანელობის საქმეში მთავრობამ არ უნდა დაარღვიოს ადამიანის უფლებები. მაგალითად, სამხედრო საქმიანობა, პოლიციის საქმიანობა და მთავრობის სხვა ქმედებები არ უნდა ლახავდეს ადამიანის უფლებებს.

მთავრობები აგრეთვე პასუხისმგებელნი არიან სხვა არასამთავრობო აქტორების მოქმედებაზე მათ ქვეყანაში. ესენი შეიძლება იყვნენ ბიზნეს კორპორაციები, რელიგიური ჯგუფები ან ინდივიდები. მთავრობებმა უნდა დასაჯონ დამრღვევები, დაიცვან ყველა მოქალაქე და უზრუნველყონ განათლება ადამიანის უფლებათა საკითხში, რათა განმტკიცდეს ადამიანის უფლებები ყველა სფეროში. ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მთავრობის ქმედებათა დასაბუთება და მონიტორინგი შეიძლება რთული იყოს. განსაკუთრებით ძნელია ქალთა უფლებების დარღვევების მონიტორინგი, ვინაიდან ამგვარი ფაქტები უფრო ხშირად კერძო ვითარებაში ხდება და არა საჯაროდ. მაგარამ მთავრობა ასევე პასუხისმგებელია კერძო ვითარებაში ადამიანის უფლებათა დაცვაზე. მთავრობებმა უნდა შექმნან პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემს ადამიანებს დაიცვან საკუთარი უფლებები. ეს გულისხმობს, მაგალითად, განათლების უზრუნველყოფას და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის მუშაობის საშუალების მიცემას. კანონი ადამიანის უფლებათა დაცვისა და განმტკიცებისათვის საქმიანობის თავისუფლებას უნდა უზრუნველყოფდეს.

ქალთა უფლებები, როგორც ადამიანის უფლებები

იმის მტკიცება, რომ ქალთა უფლებები იგივე ადამიანის უფლებებია, არ წარმოადგენს „განსაკუთრებული უფლებების“ მოთხოვნას. ადამიანის უფლებები განუყოფელია, ანუ ყველა უფლება დაკავშირებულია ერთმანეთთან. ტრადიციული კამათი ადამიანის უფლებათა შესახებ ფოკუსირებული იყო კაცების უფლებებზე, მათ მოქმედებებზე და ამ მოქმედებათა დაცვაზე. იგნორირებული იყო ქალთა უფლებები, კერძოდ, მათი უფლება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა, განათლების მიღებისა, საკუთარი აზრის ქონისა, ოჯახში თანასწორუფლებიანობისა. ქალთა უფლებები გულისხმობს ამ სურათისათვის დასრულებული სახის მიცემას, რათა ქალებმა მარლაც ისარგებლონ ადამიანის უფლებებით.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ქალთა მიერ საკუთარი უფლებებით სრულად სარგებლობა, უნდა განვიხილოთ ის დაბრკოლებები, რომლებსაც ისინი აწყდებიან. მაგალითად, განათლების მიღების უფლება საყოველთაო უფლებაა. მაგრამ რა კონკრეტული დაბრკოლებები არსებობს გოგნასათვის, რომელსაც სკოლაში წასვლა სურს? სიღარიბის პირობებში, ხომ არ ურჩევნიათ მშობლებს სკოლაში თავიანთი ვაჟიშვილები გაუშვან და არა ქალიშვილები? როდესაც გოგონები განათლების მიღების უფლებას ითხოვენ, წარმოადგენს მათთვის დაბრკოლებას სკოლისაკენ მიმავალ გზაზე სექსუალური შეურაცხყოფისა და თავდასხმის შიში? არსებობს გაერო-ს დეკლარაცია განვითარების უფლების შესახებ, რომელშიც საუბარია მთავრობის მოქმედების აუცილებლობაზე, რათა თითოეულ პიროვნებას მიეცეს საშუალება იყოს სოციალური განვითარების პროდუქტიული მონაწილე. რა კონკრეტული ღონისძიებანია საჭირო იმისათვის რათა ქალმა შეძლოს საკუთარი საზოგადოების განვითარებაში მონაწილეობა და ამ განვითარებით სარგებლობა? მას სჭირდება თანასწორობა იურიდიულ საკითხებში, რათა გააფორმოს კონტრაქტი. მას უნდა ჰქონდეს კრედიტის

მიღების საშუალება. საკუთარ სახლში მას ისეთი სტრუქტურა სჭირდება, რომელიც მას საშუალებას მისცემს იმუშაოს და მიიღოს გასამრჯელო. ქალთა უფლებები არ არის განსაკუთრებული უფლებები. ქალთა რეალური ცხოვრების გათვალისწინებით, ისინი უბრალოდ საშუალებას აძლევენ ქალებს ისარგებლონ ადამიანის უფლებებით.

ხელშეკრულებებში საუბარია ფიზიკური ხელშეუხებლობის და თანასწორი, არადისკრიმინაციული კანონიერი დაცვის უზრუნველყოფაზე ყველა ადამიანისათვის. არსებობს საჯარო და კერძო სფეროების განცალკევების ტრადიცია. არსებობს აგრეთვე დებულებები კერძო სფეროს პატივისცემის შესახებ, რაც ოჯახისა და პირადი საქმეების პატივისცემას გულისხმობს. მაგრამ ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას უფრო ხშირად კერძო სფეროში აქვს ადგილი. ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციებმა უნდა ამტკიცონ, რომ ქალებს დაცვის უფლება აქვთ და ეს კერძო სფეროსაც ეხება. სინამდვილეში, მთავრობები არეგულირებენ ოჯახური ცხოვრების სხვა ასპექტებს, როგორიცაა ბავშვის მურვეობა ან მემკვიდრეობის უფლება, ანუ ოჯახური ცხოვრება ყოველთვის კერძო და ხელშეუხებელი არ არის. მთავრობებმა უნდა იმოქმედონ, რათა დაიცვან ქალები ოჯახური ძალადობისგან.

II. ზოგიერთი შენიშვნა ადამიანის სოციალური, ეკონომიური და კულტურული უფლებების შესახებ.

"ეკონომიკური ზრდა – რომლის დავიწყებული განსაზღვრება უფრო ხშირად ეხება მოსახლეობის ერთი სულის ზრდას და არა მთლიან ეროვნულ შემოსავალს – ახდენს პოტენციური მიმდინარე საწარმოო ხარჯების და ასევე პროდუქციისა და მოხმარების დანახარჯების წინასწარგათვლილ დაფარვას უშუალოდ ქალების არაანაზღაურებული დროის ხარჯზე . . . მეოცე საუკუნის ეკონომიკამ უფრო მეტი სამუშაოთი დატვირთა ქალები, და მნიშვნელოვნად შეამცირა მამაკაცის სამუშაო კვირა და პასუხიმგებლობები" (სექსონიმიკსი, CHANGE, 1991).

ქალების ეკონომიკური ექსპლუატაცია არის მსოფლიო მასშტაბის პრობლემა. თუმცა მისი მახასიათებლები იცვლება ასაკისა და რასობრივი წარმოშობის მიხედვით. ორივე შემთხვევაში, კერძო პირები და კომპანიები პირდაპირი თუ არაპირდაპირი თანამშრომლობით სახელმწიფოსთან, ახდენენ ცალკეული ქალების და მათი მასების ექსპლუატაციას, იმ ქალების ჩათვლით, ვისაც თანასწორობის კანონიერი უფლებები გააჩნია. მამაკაცის ქალზე მაღლა დაყენება, ნიშნავს, რომ ქალების სამუშაოს ანაზღაურება გაცილებით ნაკლებია მამაკაცების შემოსავალზე. როგორც წესი, მსოფლიოს მაშტაბით, ქალების ანაზღაურება შედადგენ მამაკაცების ანაზღაურების 40 დან 80 პროცენტს. მაგალითისათვის, 1991 წელს, იაპონიაში, რომელიც ხასიათდება ადამიანის განვითარების უმაღლესი ინდექსით ეს განსხვავება შეადგედა 40 პროცენტს; სამხრეთ კორეაში, რომლის განვითარების მოდელის წარმატება ხშირად გადაჭარბებულად არის შეფასებული და ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც ხასიათდება თავისუფლების უმაღლესი ინდექსით, შემოსავლების

განსხვავება შეადგენდა 63 პროცენტს; ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ეს პროცენტი შედარებით მაღალი იყო. განვითარებათ ქვეყნებში ქალების უმრავლესობა დაკავებულია ეგრეთ წოდებულ "არაფორმალურ სექტორში", და აქედან გამომდინარე ძნელია ზუსტი მონაცემების მოპოვება, მაგრამ ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა რომ მაროკოში, მამაკაცი რომელიც მუშაობს იგივე ადგილზე სადაც ქალი ის ღებულობს მეტ ხელფასს, ხოლო ბენგალში ფერმაზე მომუშავე ქალები ღებულობენ მამაკაცის ხელფასის ნახევარს.

საკმაოდ საინტერესოა სხვადსხვა სექტორებში ქალისა და მამაკაცის შედარება, განსაკუთრებით იქ სადაც ერთ-ერთი მიჩნეულია როგორც "დინამო" ძალად ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებასა და განვითარებში. თუმცა ქალების დაკავებულობის პროცენტი ითვლება როგორც ადამიანის განვითარებისა და "თავისუფლების" ინდიკატორი. მაგრამ თუ გავითავლისწინებთ იმას რომ არ არის ინფორმაცია შემოსავლების დონეზე, სხვა არსებობის პირობებზე და "დღის მეორე განაკვეთის" არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ზემოთ აღნიშნული ინდიკატორები ძალას კარგავენ. ეს ინდიკატორები უბრალოდ ასახავენ ქლების პროპორციას ფულადი სასხრების ბრუნვის ეკონომიკაში და აქედან გამომდინარე წარმოადგენენ შესამჩნევ მომხმარებლებს. რადგან ქალების ნაწილი ითვლებიან "დიასახლისებად", მათ მიერ შესრულებული სამუშაო (მომსახურეობის და წარმოების და, შესაბამისად მოხმარების კოეფიცინტი), რომელიც ცილდება ფულადი სახრების ბრუნვის ეკონომიკას, როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ ასევე სუბსიდირებულ ეკონომიკებში, არ მიიჩნევა ამ ინდიკატორების შემადგენელ ნაწილად. აქედან გამომდინარე ამ ინდიკატორების მართებულობა ეჭვის ქვეშ დგება.

ქალების სამუშაო პირობების და შრომის ანაზღაურების საკითხი არის პრობლემატური მთელ მსოფლიოში, მაგრამ ამას იშვიათად განიხილავენ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. შეიძლება ამის მიზეზი იყოს ის, რომ ისტორიულად ადამიანის უფლებების დაცვა ეხებოდა ძირითადათ ამ საკითხის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპექტებს, თუმცა ეს ხდებოდა ადამიანის სოციალური და ეკეონომიკური უფლებების დაცვაზე ყურედღების ნაკლებად გამახვილების ხარჯზე. გარდა ამისა, ნაწილობრივ, ქალების სუბორდინაცია ითვლებოდა "ბუნებრივ" მოვლენად, და აქიდან გამომდინარე ამართლებდა ქალების ეკონომიკურ სუბოდრინაციას. თუმცა იგივე კულტურული დინამიკა, რომელიც იძლევა ქალის ფიზიკური შეურაცყოფის უფლებას, აძლევს მათ ბაზარზე გასვლის უფლებას. სახელმიფო არღვევს ადამიანის უფლებებს და ამით დიდ მოგებას ნახულობს. გაერო-ს წესდების თანახმად არცერთმა სახელმწიფომ არ უნდა ნახოს მოგება ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე. ქალების გაზრდილი სიღარიბე ასევე ზღუდავს და ხელს უშლის მათი ისეთი უფლებების და თავისუფლებების გამოყენებას, როგორებიცაა მაგალითად, მობილურობის და მოძრაობის, პოლიტიკურ და კულტურულ საქმიანობაში მონაწილეობის უნარი, კონტრაცეპტივების ან სხვა ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პროვიზიების გამოყენება, დანაზოგების გაკეთება და მოხუცებულობისთვის მომზადება. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი აძლიერებს მათ სუბორდინაციას და იცავს მათ თვითგანვითარებისგან, რომელსაც აქვს

გაადმწყვეტი მნიშვნელობა ადამიანის განვითარების როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული ნაწილისათვის.

საარსებო საშუალებების, მიწის და საკუთრების ქონების უფლება

ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს საზოგადოება, სადაც ჩვენი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე შეგვიძლია მოვიქცეთ ჩვენ ღირსება და თავისუფლებაზე დაყრდნობით, ვაღიარებთ რა, რომ ჩვენ, ორივეს გვაქვს უფლება და მოვალეობა მთლიანად განვავითაროთ ჩვენი პოტენციალი. . . ადამიანთა უფლებები ქალებისათვის განმარტებული იყო, როგორც "ქალის კოლექტიური უფლება იყოს აღქმული და მიღებული, როგორც პიროვნება რომელსაც შესწევს უნარი მიიღოს გადაწყვეტილება და იმოქმედოს მისი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და აქვს რესურსების თანაბარი გამოყენების და თანასწორი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დახმარების მიღების უფლება. . ."" აზია წყნარი ოკეანიის ფორუმი ქალთა საკითხებზე, კანონსა და განვითარებაზე, 1990 წელი.

ქალები, რომლებსაც გააჩნიათ ან მემკვიდრეობით აქვთ მიღებული ქონება, ხვდებიან კანონით განსაზღვრულ ან ტრადიციულ ბარიერებს, რომლებიც წარმოადგენენ ქალთა სიღარიბის გაგრძელებას და გაფართოებას, მაგრამ ასევე უკან ხევენ ეროვნულ განვითარებას სხვათა უფლებების დიდმასშტაბიანი დარღვევების გამო. ზოგიერთი საზოგადოება - თეორიულად - არ შეიცავს ასეთ აკრძალვებს, მაგალითად, ისლამური კანონი ქალებს აძლევს უფლებას, მიიღონ მემკვიდრეობით მათი მამების მეკვიდრეობის პროპორციული ქონება, ხოლო ზოგიერთი საზოგადოება გულისხმობს ქონების ზოგიერთი ტიპის ქონების, მიწის ჩათვლით, ქალის ხაზით მემკვიდრეობაში გადაცემას. თუმცა კოლონიალური იურიდიული სისტემები იცავს უფროსი შვილის უფლებას მემკვიდრეობის მიღებაზე, მათ გადააჭარბეს ამ ინდიგენურ სისტემებს, გამოიწვიეს რა ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც უფრო კარგად და ფართოდ იყო განხილული ლიტერატურაში განვითარების პროცესში მყოფი ქალების შესახებ, ვიდრე ადამიანთა უფლებების შესახებ. აგრეთვე პრაქტიკულად ქალების მიერ მათი ქონების მესაკუთრეობის რეალური განხორციელება განპირობებულია, მაგალითად, ბანგლადეშში ან ჩრდილო ნიგერიაში ქალთა სახლში ჩაკეტვა ხელს უშლის ქალებს გამოხატონ თავიანთი პრეტენზია შემოსავლის შესახებ საზოგადოებრივ ადგილებში და ხელს უშლის მათი პრეტენზიების განხილვას სასამართლოში. ტრადიციული სუბორდინაცია, რომელიც ამ თავში, უფრო ქვემოთაა მოცემული, ასევე ხელს უშლის ასეთი ქონების გამოყენებას. არსებობს ქალების მიერ ქონების მესაკუთრეობის და გამოყენების უუნარობის მრავალი შედეგი, მაგრამ ეს ჯერ გამოუკვლევი სფეროა. 1980 წლის ელემენტარული "გენდერულ ანალიზში" არ იყო ადეკვატურად გამოკვლეული, აზრი რომ ქალები მუშაობენ მთელი სამუშაო დროის ორ მესამედის განმავლობაში – მაშინ როდესაც მამაკაცები მხოლოდ ერთ მესამედს – ღებულობენ შემოსავლის ერთ მეათედს – კაცები შესაბამისად დარჩენილ ცხრა მეათედს ნახევარი სამუშაოსთვის – და ფლობენ ქონების ერთ პროცენტს – კაცები კი შესაბამისად ფლობენ 99 პროცენტს.

ადამიანის უფლებების სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა აღიარებული სისტემისგან იმითი რომ, ისინი უფრო "ადამიანურები" არიან, ვიდრე ქონებაზე დაფუძნებულები, მესაკუთრეობაზე აგებული უნარებისა და სტატუსის მიუხედავად – კერძოდ, დამარცხების შედეგად წარმოქმნილ ვაკუუმში იმ ეკონომიური უფლების მხარდასაჭერად, რომლებიც დარჩა საბაზრო ეკონომიკის ძალებს: თანასწორობისა და სამართლიანობის წყაროც კი აღარაა მნიშვნელოვანი არცერთი ქვეყნისთვის. ქალთა ეკონომიკური უფლებების მხარდაჭერის და გაძლიერების საქმეში დამარცხება სარისკოა. უპირველეს ყოვლისა უმცირესობის კანონით დაუცველის სტატუსი უნდა ეკუთვნოდეს არაა ადამიანს, არამედ მისი ქონების ნაწილი. თუმცა იურიდიულმა ცვლილებებმა უმეტეს ქვეყნებში გადაადგილა ქალი უმცირესობების ან გონებრივად ჩამორჩენილების კატეგორიიდან, უმეტეს სფეროებში ძალიან ცოტა პოზიტიური ქმედება იქნა ჩატარებული რომ ქალი, იურიდიულად პიროვნებად ყოფილიყო აღიარებული. ეს ნიშნავს, რომ უმეტესი მათგანი არის ლიმბოგამოვლილი სახელმწიფო, რომელსაც არ არიან არც ავტონომიური პირები და არა აქვს მთლიანი მესაკუთრეები, და არასაკმარისად არიან აღიარებულნი და დაცულნი კანონის მიერ, რომელიც აძლიერებს მამაკაცის, როგორც მედიატორის როლს ქალებსა და სახელმწიფოს შორის კომუნიკაციაში. კაპიტალი და შემოსავალი ერთად ასახავს კლასს და მომხარებელთა კლასიფიკაციაში და სოციალური კვლევებში ჯერ კიდევ "ოჯახის უფროსად" ავტომატურად მიჩენულია მამაკაცი, მაშინაც კი, როცა ქალი განეკუთვნება "უფრო მაღალ კლასს", მისი წარმოშობისა და სიმდიდრის მიხედვით, ვიდრე მისი ქმარი.

ქონება წარმოადგენს უცხო ხალხისა და გარემოსგან, და ასევე სხვა ქონებისგან პირადი დაცვის საგანს (იგი ასევე ბაზისია და ხანდახან შემდგომი კომერციული და ტერიტორიული შენაძენების "კანონიერების საფუძველიც"); ქონებაზე უფლების გარეშე არ არსეობს იმ უსაფრთხოების, პიროვნების, თავშესაფარისა და თავისუფალი დროის არანაირი საფუძველი, რომლებიც შემდგომში ხდებიან კეთილდღეობის თუ "მოთხოვნილებების" და არა უკმაყოფილებების საკითხები. ქონება სოციალური სტატუსის საფუძველია და დიდ ფართობზე გადაჭიმული ოფისების ბლოკების, მსხვილფეხა ან წვრილფეხა საქონლის ფარების მფლობელობას ბევრი პრივილეგიები გააჩნია, რომელთ შორის არის პატივისცემა, კრედიტების შეუფერხებლად მიღების საშუალება, წინადადებები პოლიტიკური ოფისებისგან. მაგრამ, რამდენ ქალს შეუძლია ამის მიღწევა? ამავდროულად, მაინც არსებობს ისეთი დამოკიდებულება, რომ ბევრი ახალგაზრდა, თანმიმდევრულად ცვლადი ან ერთდროულად არსებული ცოლები ან "საკუთრებაში მყოფი" ქალები აკეთებენ მამაკაცების სიმდიდრის, კარგი რეპუტაციის, სიმამაცის და კანონიერი ადგილის დემონსტრირებას საზოგადოებრივ არენაზე. ქონება წარმოადგენს საშუალებების კომპლექსს, რომლებიც ქმნიან შემოსავლების მიღების შესაძლებლობას პროდუქციის წარმოების ან მომსახურებობიდან: ორი თავი რქოსანი პირუტყვი, ცხვრების ფერმა, მეთევზეთა ნავი ან ორთქლის ღუმელი, კომპიუტერების ტერმინალი. ქვრივობა, მიტოვებულ მდგომარეობაში ყოფნა, და გაცილება, ანუ ის, რაც ქალების უმრავლესობისათვის რეალობაა, შეიძლება გახდეს ქალისთვის და მისი

ოჯახისათვის სიღარიბის მიზეზი, თუ ქალებს მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად არ გააჩნიათ ისეთი ტრადიციული და თანამედროვე უფლებები, როგორიცაა მიწის დამუშავება, ურიკის გამოყენება, პროფესიული უნარების მქონე ოჯახში დარჩენა, და თანასწორი კეთილდღეობის მქონე ქვეყნებში პენსიაც კი. ინდური ეთნიკური ჯგუფები ნეპალში ქალების მიერ არც მეორედ გათხოვება და არც მიწის მფლობელობა არაა დაშვებული ტრადიციული ინდუიზმის მიერ. მესაკუთრეობა უნდა იყოს განხილული, როგორც ორივე პირის ინდივიდუალური ან კოლექტიური, ან ორივე, საკუთრება, მაგრამ ქალებისა და კაცებისათვის თანაბარი მდგომარეობის პირობებში იმისათვის რომ წარმატებით გახორციელდეს საზოგადოებრივი ქონების გამოყენება, მისგან მოგების მიღება, და განკარგვა.

ქალთა მიწის საკუთრებაზე უფლებების საკითხებით დაინტერესება გაიზარდა, კონკრეტულად აფრიკაში, ქალების უუნარობის გამო უზრუნველყოთ გირაო საბანკო სესხების და ფორმალური კრედიტებისათვის და რამაც დაიცვა ისინი ყოველივე ქვემოთ ჩამოთვლილისაგან:

- საქმის დასაწყებად სამეწარმეო მარაგების შეძენისაგან, და ამდენად მათი დაცვა ოჯახების შენახვისაგან, რაც გამოიწვევდა არასაკმარისს კვებას და ბავშვის სიკვიდილიანობის ზრდას, ასევე გაუჩენდა ქალებს მათი ოჯახური მოვალეობების ცუდად შესრულების გრნობას და გახდიდა მათ ფიზიკური ძალადობის მიმართ დაუცველს;
- ადგილობრივი და ეროვნული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად წარმოების გაზრდა და წვლილის შეტანა ადგილობრივი და ეროვნული კვების დაზღვევის საქმეში;
- ნარჩენი პროდუქციის რეკლამირება და დამატებითი შემოსავლების გამომუშავება, რომელიც საკვები პროდუქტების უფრო ფართო ასორტიმენტის მოხმარების საშუალებაა, პროპორციული დიეტის შემუშავება მათთვის და მათი ოჯახებისათვის, და/ან სახლში ნაწარმოებ პროდუქტებზე მოთხოვნილების სტიმულირება;
- მათი სამუშაოდან მიღებული შემოსავლების კონტროლი და დანაზოგების გაკეთება;
- მეუღლის "კაპრიზების" გაძლება "ოჯახის" შემოსავლების სანაცვლოდ, მაგალითად, მსხვილ მომხმარებელთა პროდუქტების (კერძო მოტოციკლეტები ან მანქანები) გამო, რომლებიც არ შეიძლება იყოს გამოყენებული ოჯახის სხვა წევრების მიერ და, რომლებიც ცლიან დეფიციტურ რესურსებს ან მათი (მეუღლის) დროის სანაცვლოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულს უნდა დაემატოს, რომ უმუშევრობით გამოწვეული არჩევანის და მიწის არქონა აიძულებს გოგონებსა და ქალებს გაყიდონ მათი "პროდუქციის ერთადერთი საშუალება" – საკუთარი ან შვილების სხეულები. მათგან ძალიან ბევრი 18 წლის ასაკისაც არაა: ინდოეთში ასეთი ქალები ჯერ კიდევ კიდევ უმცირესობას წარმოადგენენ და მათი რაოდენობა აღწევს 400,000 (2 მილიონიდან), ნეპალში 140.000 ქალია მოტაცებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლი (ამის შედეგად მათ 90%-ს აქვს სექსუალური გზით გავრცელებული

დაავადებები); ტაილანდში უცხოელი ტურისტების მომსახურების ინდუსტრიამ, რომელსაც ემსახურება 11 წლის ასაკში გაყიდული 16 წელზე ნაკლები ასაკის დაახლოებით 600.000 გოგონა, გადააქცია პროსტიტუცია უცხოური შმოსავლების მთავარ წყაროდ. ფილიპინები და კორეა ასევე ცნობილები არიან, როგორც რამოდენიმე მილიონი მეძავით დაკომპლექტებული "სექსის ტურიზმის სამოთხე". ნეპალი ძალიან სწრაფი ნაბიჯებით მიდის ამ კლუბში გაწევრიანებისაკენ. ბევრი სხვა განვითარებადი ქვეყნის ტურისტული ადგილები, და უცხოური სამხედრო ბაზები, აფრიკაში, კარიბიასა და ლათინურ ამერიკაში ასევე აკეთებენ სექსის რეკლამირებას. მრავალ ქვეყანაში (მაგალითად, სიერა ლიონე) გოგონები დაკავებული არიან პროსტიტუციით ხანშიშესულ მამაკაცებთან, იმისათვის, რომ გადაიხადონ თავიანთი განათლების ფული. დადგენილია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, უგანდაში) სპიდის გამოჩენამ შეამცირა პროსტიტუციაში იძულებით ჩაბმული ახალგაზრდა გოგონების რაოდენობა, ვინაიდან ითვლება, რომ ქალწულები არ ავადდებიან ამ ინფექციით.

"მსოფლიოს მასშტაბით მყარად ჩამოყალიბებული ატიტუდები და ტრადიციები ნახულობენ მამაკაცის მიერ ქალის მიმართ ისეთი ქცევების გამართლებას, როგორებიცაა ქალის სხეულის ადვილად მოპოვება, მათ ინფიცირება გაუპატიურების, ინცესტისა და იძულებითი სექსის სხვა ფორმების გზით" (გაერო, 1989).
პროსტიტუცია, რომელიც ასე ხშირადაა თვითონ მეძავების მიერ გამოხატული მორალური უკმაყოფილების საგანი, განსაკუთრებით აყვავებულია იქ, სადაც არ არსებობს და არ ხდება ქალთა ისეთ უფლებების საკითხებზე საუბარი, როგორიცაა მიწის უფლება, წარმოების საშუალებების ქონის უფლება, თანასწორი შესაძლებლობებისა და გადახდის უფლება, და ასევე უბრალოდ ღირსების ქონის უფლება. ზოგიერთ კულტურაში, მაგალითად, სამხრეთ აზიაში, არსებობს ჩვეულება, რომლიც მიხედვითაც ძალიან ახალგაზრდა გოგონებს აგზავნიან ტაძარში პროსტიტუციისათვის, და ამ ჩვეულებისგან თავის არიდება შეუძლებელია. მრავალი სახელმწიფოს მთავრობა უცხოური ვალუტის მოპოვების ინტერესის გამო, ვერ ახერხებს (როგორც ეს მოხდა ტაილანდსა და დომინიკანურ რესპუბლიკაში) ძალადობის დასჯას და აქედან გამომდინარე ეკონომიკური თუ სხვა გაუმჯობესების მიღწევას. საერთაშორისო დონეზე, ქალების ვაჭრობაზე იურიდიული ჯარიმები ძალიან მცირეა ნარკოტიკებისა და სხვა მსგავსი პროდუქციის კონტრაბანდასთან შედარებით; ნარკოტიკული პლანტაციების განადგურებისთვის გამოყოფილი ფონდები, ადამიანური და მატერიალური რესურსები წარმოუდგენლად დიდია ტრეფიკინგის ან ქალთა სიღარიბის გამომწვევი მიზეზების აღკვეთისათვის გამოყოფილ რესურსებთან შედარებით, ვინაიდან მთავარ მომხმარებელ ქვეყნებში ხელშეკრულება შექმნილი იყო ახალგაზრდა (თეთრი) მამაკაცების მიერ. 1949 წლის კონვენციას ქალების ტრეფიკინგის შესახებ არ ქონდა მონიტორინგის საშუალებები, მაგრამ ძალადობის აღმკვეთი კანონის დარღვევის შემთხვევები ინდივიდებისა და ჯგუფების მიერ ამჟამად უფრო ხშირი განხილვის საგანია. გარდა ამისა, ტარდება აზიური ქალთა უფლებების დაცვის საბჭოს მიერ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე "ქალების ნუგეშის საცემად" ჩატარებული წარმატებული კამპანიის მსგავსი მრავალი კამპანია.

ეკონომიკა და უფლებათა დარღვევა

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი არგუმენტი არსებობდა იმის შესახებ, რომ ქალების დაბალი ხელფასები ასახავენ, ან ხსნიან კიდევაც იმ "ოჯახის ხელფასის" პრიორიტეტს, რომელსაც კაცები იღებენ მათი მოვალეობების შესრულებაში; ისინი არ ითვალისწინებდნენ ქალების მოვალეობების შედარებით დაქვემდებარებულ პოზიციას ამ განტოლებაში და ამ დაქვემდებარების გამოყენებას ეკონომიკური კონკურენციისა და სტრუქტურული ადაპტაციიაში. ბოლო წლებში, იმის მაგივრად, რომ ზოგიერთი ავტორს (ამ ავტორის ჩათვლით) გაეგრძელებინა კამათი განვითარებაში ქალის უმნიშვნელო როლის ან ქალების შესახებ პროგრამების სტრუქტურული ადაპტაციის პოლიტიკის ზეგავლენის თემებზე, მათ დაიწყეს იმ მეთოდების სინთეზი, რომელთა მეშვეობითაც ქალის მეორეხარისხოვანი სოციალურ-კულტურული სქსობრივი როლები – და მათი უფლებების დასაცავი ქმედებების ვაკუუმი – ნათლად არის დაგეგმილი ეკონომიკურ სტრატეგიებში. ამდენად, კაპიტალის დაგროვების, ეხპორტის მიმართულების და ზრდის ზოგიერთი მოდელი აგებულია ქალების ეკონომიკური უფლების დარღვევაზე, მათი სუსტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების და სოციალურ-კულტურული სტატუსის გამო.

ორივე – მცირე ხელფასი, რომელიც გამომდინარეობს ქალის უფრო ნაკლები "ღირებულებიდან" და სქესობრივი როლებიდან და აუნაზღაურებელი სამუშაო დრო – მნიშვნელოვანი ცვლადებია. პირველი გამოიყენება დაბალი ხელფასებისა და ბონუსების შესანარჩუნებისა და უცხოელი ინვესტორების მიერ ინვესტიციის მომგებიანი ამოღებისათვის და ეს ხდება მაშინ, როცა მამაკაცების ანაზღაურება და პირობები დაცულია პროფკავშირების მიერ, რაც მათ უფრო ორგანიზებულ პოლიტიკურ ძალას აძლევს. ოჯახური მდგომარეობაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია: გაუთხოვარი ახალგაზრდა ქალები მასიურად მუშაობენ საწარმოებში დროებითი კონტრაქტით და მათი სტატუსი განიხილება, როგორც მამებზე დამოკიდებული პირების მდგომარეობა, რომლებიც ელოდებიან გათხოვებას. როდესაც ეს მოხდება, ან "მოსალოდნელია" რომ მოხდეს, ისინი დაუყოვნებლივ თავისუფლდებიან სამსახურიდან. ეკონომიკური მოთხოვნილება და სოციალური ქონება გაერთიანებულია და არ ახდენს გავლენას ქალის პოლიტიკურ სტატუსზე. ქსოვილების, ტანსაცმლის და ელექტრონიკის ასაწყობი საწარმოები მალაიზიასა და აღმოსავლეთ აზიის სხვა ნაწილებში დოკუმენტურად ადასტურებდნენ ასეთ თვისებებს, მაგრამ "პროდუქტების აწყობის საერთაშორისო ხაზის" სხვა პროდუქტები ასევე მნიშვნელოვანია, და ელექტრონული საბანკო საქმე და სხვა სერვისები იზრდება.
ფილიპინები და აზიის სხვა ნაწილები, რომლებიც ასოცირდებიან კარიბიის თავისუფალ სავაჭრო ზონებთან და სადაც მასპინძელ ქვეყანაში უნარებისა და კაპიტალის გადატანის თაობაზე არსებობს ეჭვები, ასეთი პრაქტიკა მცირე და დიდმასშტაბიან ადგილობრივ სექტორებშიც ხორციელდება. გათხოვილი ქალების დაქირავება ხდება თანაბარი, მაგრამ უმნიშვნელო განსხვავების მქონე პირობებით ძალიან განსხვავებულ სამუშაოებზე. უფრო და უფრო იზრდება შემთხვევები, როდესაც ქალებს უდებენ კონტრაქტს, სადაც მოცემულია ნახევარგანაკვეთზე მუშაობის მოქნილი პირობები, რომლებსაც არ აქვთ

დართული ბენეფისები და რომლებიც "არ ერევიან მათ ოჯახურ მოვალეობებში". ოჯახური მდგომარეობა გამოიყენება როგორც დისკრიმინაციის საფუძველი, რომელიც იძლევა კაპიტალის დაგროვების საშუალებას, და რომელიც ისეთი სოციალური სიკეთის მასკის ქვეშ გვევლინება, რომელიც არაფერს ცვლის სქესთაშორის არათანასწორ ურთიერთობებში. ინდუსტრიული ოჯახური სამუშაო (სახლში გაკეთებული პროდუქტების, აწყობა და სერვისები) ასევე იყენებს ქალის სოციალურ-კულტურულ პირობებს და მოძრაობის შეზღუდულ თავისუფლებას მაგალითად ინდოეთში, და ხშირად ექსპლოტატორული პირობებით ამუშავებს ოჯახში, რისი კონტროლიც ქალს არ შეუძლია.
სავაჭრო ზონების ეს რეზიუმე არაა წარმოდგენილი აქ მოყვანილი საკითხების კრიტიკისათვის, მას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო განვითარების ინიციატივისათვის, ვინაიდან ურთიერთშესაბამისობის პრინციპის გატარების მოთხოვნილება ეკონომიკური რეფორმების, ადამინის უფლებების, კარგი მთავრობის და სიცოცხლისუნარიანობის საკითხებში უნდა იქნას განხილული. მაგალითად, ტოკიოს ფორუმზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნების შესახებ, უკრიტიკო ხოტბა შეესხა ქსოვილის ინდუსტრიის გაფართოვებას ბანგლადეჟში (რომელიც იქ ჩამოაყალიბეს კორეულმა კომპანიებმა, იმისათვის რომ თავი აერიდებინათ მრავალბოჭკოვან ქსოვილებთან დაკავშირებული კვოტებისთვის), სხვა ქვეყნების პარალელურად, თავისუფალი გავრცელება დომინიკანურ რესპუბლიკაში, რომელიც გარშემორტყმულია შეიარაღებული გვარდიითა და ღობით და რომელშიც ცუდი ჰიგიენური პირობები და ცუდი მდგომარეობაა.

III საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა და გენდერულ სფეროში

1994 წელს საქართველო მიუერთდა „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კონვენციას". ამ ფაქტმა სრულიად შეუმჩნევლად ჩაიარა, არც სახელმწიფოს გაუმახვილებია ამაზე ყურადღება და არც არანაირი საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყოლია. ქართულად კონვენციის ტექსტი პირველად მხოლოდ 1997 წელს გამოქვეყნდა.

ქალთა საკითხების სამთავრობო დონეზე წამოწევის თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი იყო 1995 წელს პეკინში გამართული ქალთა IV მსოფლიო კონფერენცია. ამ კონფერენციაზე საქართველო შეუერთდა იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც შეთანხმდნენ, შეემუშავებინათ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმა პეკინის პლატფორმის ცხოვრებაში გასატარებლად.

1995 წელს ამოქმედდა გაერო-სა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტი „გენდერული განვითარება", რომლის ფარგლებშიც მომზადდა ანგარიში საქართველოში ქალთა მდგომარეობისა და პრობლემების შეფასების შესახებ. ამის საფუძველზე 1997 წელს მუშაობა დაიწყო პროგრამამ „ქალები განვითარების პროცესში". პროგრამის ხელშეწყობით 1998 წელს პრეზიდენტის

განკარგულებით შეიქმნა ქალთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისია. კომისიის თავმჯდომარე გახდა სახელმწიფო კანცელარიის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში რუსუდან ბერიძე.

პეკინის სამოქმედო პლატფორმის შესაბამისად შემუშავდა 1998-2000 წლებში საქართველოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა. შესრულდა პროგრამის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც გაერთიანებული ერების პროექტით ფინანსდებოდა, ხოლო ამავე პროგრამით გათვალისწინებული უფრო მასშტაბური ღონისძიებები, რასაც სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან სერიოზული ძალისხმევა სჭირდებოდა, არ განხორციელებულა. ამის მაგალითია:

- ქალთა საკითხების დეპარტამენტის დაფუძნება.
- ბიუჯეტისა და საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას სქესთა თანასწორობის საკითხების გათვალისწინება.
- დიპლომატიურ სამსახურებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა.
- ქალთა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მექანიზმების შემუშავება.
- კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა პროსტიტუციისა და მათხოვრობის შემცირების მიზნით.

ნიშანდობლივია, რომ პეკინის კონფერენციის მასალები და მოქმედებათა პლატფორმა ქართულად დღემდე არ გამოცემულა, თუმცა 1998-2000 წლების სახელმწიფო პროგრამა ამასაც ითვალისწინებდა.

1999 წელს საქართველომ პირველად წარადგინა ანგარიში გაერო-ს ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კომიტეტში (CEDAW). სახელმწიფო ანგარიშთან ერთად ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადდა ალტერნატული ე. წ. ჩრდილოვანი ანგარიში. ამ ანგარიშებზე დაყრდნობით კომიტეტმა შეიმუშავა შემაჯამებელი კომენტარები, რომელშიც შეშფოთება გამოთქვა, რომ არ სრულდება ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ეროვნული სამოქმედო პროგრამა, არ არსებობს არაპირდაპირი დისკრიმინაციისა და კერძო სექტორში არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრისაკენ მიმართული კომპლექსური სტრატეგია და პოლიტიკა, მძლავრია პატრიარქალური კულტურა და ჩამოყალიბებულია საზოგადოებაში, ოჯახსა და პოლიტიკაში ქალის როლის განმსაზღვრელი მყარი სტერეოტიპები.

გაერო-ს კომიტეტის რეკომენდაციით, საქართველოში ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ხელისუფლებამ კომპლექსური ზომები უნდა მიიღოს გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად. სასურველია საზოგადოებისათვის ქალთა და მამაკაცთა თანასწორობასთან დაკავშირებით დადებითი სიმბოლური იდეების მიწოდება; აუცილებელია ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის დამუშავება; დროებითი სპეციალური ზომების გამოყენებით უნდა დაჩქარდეს ქალთა წინსვლა ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი პოლიტიკაში.

გაერო-ს რეკომენდაციების პასუხად გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ". ამ ბრძანებულებით საქართველოს პარლამენტს ეთხოვა, პოლიტიკური წარმომადგენლობის სფეროში ქალთა პოზიციების გასაუმჯობესებლად, იმსჯელოს დროებით სპეციალურ ღონისძიებებზე (კერძოდ, ქვოტების საკითხზე), ხოლო ცალკეულ სამინისტროებს დაევალა ქალთა მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული სპეციალური პროგრამების შემუშავება-განხორციელება. საყურადღებოა, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებაში გვხვდება ბევრი ისეთი აქტივობა (მაგ. სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი, კანონმდებლობის გენდერული ექსპერტიზა, სოფლად მომუშავე ქალებისათვის პროგრამების შემუშავება), რაც ჯერ კიდევ 1998-2000 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო.

ბრძანებულების გამოსვლიდან მესამე წელი გადის, ეს დოკუმენტიც ქაღალდზე რჩება და ნათელია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ქალთა საკითხებზე მიღებული ეს მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტიც საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებზე ფორმალურ რეაგირებას წარმოადგენს და რეალურად არ სრულდება.

საქართველოს კანონმდებლობის სრულფასოვანი გენდერული ანალიზი არ განხორციელებულა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ის არ არის დისკრიმინაციული, მაგრამ არ არსებობს ისეთი სპეციალური კანონები, რომლებიც ხელს შეუწყობდა გენდერული თანასწორობის მიღწევას. გენდერულად მგძნობიარე საკანონმდებლო იდეები ჯერჯერობით არ არის დამუშავებული. საქართველოს კანონმდებლობაში არა არის გენდერული დისკრიმინაციის განმარტება. არ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი კანონები, რომლებიც დაარეგულირებდა ოჯახური ძალადობისა და ტრეფიკინგის პრობლემებს. გენდერული დისკრიმინაციის არცერთი შემთხვევა არ გამხდარა სასამართლოს განხილვის საგანი. ხშირად ქალებმა არ იციან თავიანთი უფლებები და, რომც იცოდნენ, არ ენდობიან სამართალდამცავ ორგანოებს.

IV ქალთა მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში და ამომრჩეველთა განათლება

არსებობს მჭიდრო კავშირი ამომრჩეველთა განათლებასა და სახელმწიფო ორგანოებში ქალების არჩევითობას შორის

"სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები (ყოფილ საბჭოთა კავშირში, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპაში) ცხადყოფს, რომ საზოგადოება ძირითადად მხარს უჭერს ქალების უფრო აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკაში ... ადრე ქალთა აქტივობის ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად ოჯახური ვალდებულებანი მიიჩნეოდა."

"ქალებმა (პოლიტიკაში) უნდა გაითავისონ თამაშის წესები, შეისწავლონ პოლიტიკის ენა და, იმავდროულად, შეინარჩუნონ თვითიდენტიფიკაციის უნარი, როგორც ქალებმა და თავი აარიდონ მამაკაცი კოლეგების ჩამოყალიბებულ ერთგვარ დაქვემდებარებულ იმიჯს. ქალები პოლიტიკაში მუდმივად ცდილობენ "ოქროს შუალედის" მოძებნას პოლიტიკურ და ოჯახურ საქმიანობას შორის, იმისათვის რომ არ "დაიმსახურონ" მკაცრი კრიტიკა პოლიტიკური ამბიციების ოჯახისა და შვილების კეთილდღეობაზე წინ წამოწევისათვის".
ქალებს, რომელთაც პოლიტიკაში წამყვანი თანამდედობები უჭირავთ ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში არიან ჩართულნი, ძირითადად აღიქვამენ როგორც:

- "არა ძალაუფლების, არამედ კონკრეტული გამოსავალის" მაძიებლებად,
- მამაკაც კოლეგებთან შედარებით, ნაკლებ კონფრონტაციულად და გაცილებით უფრო კომპრომისულად, რადგან მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს ამა თუ იმ შემთვევაში კონკრეტული გამოსავალის მოძებნა და არა პოლიტიკური ქულების დაგროვება".

შესაბამისი ნორმები:

"სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს გენდერული ბალანსის შენარჩუნება ყველა დანიშვის პრინციპით დაკომპლექტებულ სახელმწიფო კომიტეტში, საბჭოსა და სხვა შესაბამის ოფიციალურ ორგანოებში, ისევე როგორც საერთაშორისო წარმომადგენლობით ორგანოებში, ინსტიტუტებსა და ორგანიზაცებში, სპეციალური მექანიზმების ამოქმედების საფუძველზე, კერძოდ კი, წარდგენილ და დანიშნულ კანდიდატებს შორის ქალი წარმომადგენლების პროპორციული წილის გაზრდის გზით."

პეკინის მოქმედებათა პლატფორმის მიხედვით "ქალთა <u>თანაბარი მონაწილეობა</u> გადაწყვეტილების მიღების პროცესში არა მხოლოდ სამართლიანობისა და დემოკრატიის პრინციპებით არის ნაკარნახევი, არამედ ქალთა ინტერესების გათვალისწინებისა და უზრუნველყოფის აუცილებელ წინაპირობასაც წარმოადგენს. გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ქალთა აქტიური მონაწილეობისა და ქალთა პოზიციების სრული სპექტრით წარმოდგენის გარეშე, შეუძლებელი გახდება თანასწორობის, განვითრების, მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევა". ქალების სახელმწიფო სტრუქტურებში ჩართვასათან დაკავშირებით, პეკინში ორი ძირითადი სტრატეგიული ამოცანა იქნა დასახული:

1. "ქალებისათვის თანასწორუფლებიანობის და თანასწორი პირობების უზრუნველყოფა სახელისუფლო და საკანონმდებლო სტრუქტურებში ჩართვისა და მონაწილეობისათვის";
2. "ქალების პოლიტიკური უნარიანობისა და პოტენციალის ამაღლება სახელმწიფო სტრუქტურებში მათი ეფექტური და აქტიურ საქმიანობის ხელისშეწყობის მიზნით".

"დემოკრატიულობა გულისხმობს, თანასწორობის პრინციპის საფუძველზე, მამაკაცებსა და ქალებს შორის ინტერაქტიურ თანამშრომლობას საზოგადოებრივი და სახელმწიფო საქმიანობის სფეროში, სადაც გენდერული ჯგუფების განსხვავებული პოზიციების ბალანსირება საერთო საქმის ინტერესებს ემსახურება."

საყოველთაო დეკლარაცია დემოკრატიის შესახებ, პარლამენტთაშორისი გაერთიანების საბჭო

ქალთა პროპორციული მონაწილეობა პოლიტიკაში გამომდინარეობს თანასწორობის პრინციპიდან და იმ მარტივი რეალობიდან, რომ ქალები სრულუფლებიან ამომრჩეველთა ნახევარს შეადგენენ. გარდა ამისა, ქალთა მონაწილეობა აუცილებელია მათივე ინტერესების გათვალისწინებისა და გატარებისათვის. ის ფაქტი, რომ ქალებს ხშირად მამაკაცებისაგან განსხვავებული ინტერესები და პოზიციები გააჩნიათ, თავისთავად გამოიწვევს ახალი პოლიტიკური პრიორიტეტების გამოკვეთასა და მუშაობის განსხვავებული სტილისა თუ სპეციფიკის დანერგვას პოლიტიკაში. ზოგადად, ქალების მიერ რამდენიმე ძირითადი საკითხის ლობირება ხდება, მათ შორის:

- ✓ ქალთა თანასწორი უფლების დაცვა მემკვიდრეობისა და საკუთრების საკითხებში;
- ✓ გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა განათლების სფეროში, ისევე როგორც ჯანმრთელობისა და კვების საკითხებში;
- ✓ ქალთა შრომის უფლებების დაცვა, რომელთა შელახვა ხშირად ხდება ქალების სეგრეგაციისა და მარგინალიზაციის გზით.

ემპირიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქალთა ფართო წარმომადგენლობა ხელისუფლებაში არსებითია ქალთა საკითხებისა და ქალთა პრობლემების გათვალისწინებისათვის კანონებსა და საკანონმდებლო აქტებში, საბიუჯეტო და საზოგადოებრივ პოლიტიკაში

V ქსელური მუშაობა

ქსელი შესაძლოა განისაზღვროს, როგორც ფორმალური ან არაფორმალური თანამშრომლობა საერთო ინტერესების მქონე სამ ან მეტ ორგანიზაციას შორის კონკრეტული, აშკარად ან ფარულად ფორმულირებული საერთო მიზნების ერთობლივად მიღწევის მიზნით.

ყურადღება მიაქციეთ, რომ:

- ურთიერთობა მხოლოდ ორ ორგანიზაციას შორის არ განიხილება, როგორც ქსელი;
- არ არის აუცილებელი თანამშრომლობის ფორმალიზება წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

- აუცილებელია გარკვეული საერთო ინტერესების არსებობა კონკრეტული საერთო მიზნის განსახორციელებლად;
- ორგანიზაციებს აქვთ გარკვეული დამოუკიდებლობა, რომელიც გულისხმობს გამოკვეთილი იერარქიული სტრუქტურის არარსებობას;
- არსებობს სფეროები, რომელთა ფარგლებში ორგანიზაციები ურთიერთდამოკიდებულნი არიან ან ავსებენ ერთმანეთის ძალისხმევას (ერთმანეთის ინფორმაციას, ერთმანეთის აქტივობებს და ა.შ.);
- საერთო ინტერესებს შესაძლოა მოჰყვეს ინტერესთა კონფლიქტი;
- ქსელის ფარგლები შეზღუდულია (გეოგრაფიული, დარგობრივი ან თემატური).

თანამშრომლობის სფეროები

არსებობს თანამშრომლობის ოთხი სფერო:

ა. ინფორმაციის გაცვლა /კომუნიკაცია
თანამშრომლობა სტანდარტიზაციაში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
- პოტენციური მომხმარებლები/სამიზნე ჯგუფები/კლიენტები;
- პროდუქცია/მომსახურება/ხარისხი;
- პროცესები და მეთოდები;
- აპარატურა/საშუალებები/ტექნოლოგიები;
- კონკრეტული სამოქმედო სექტორები;
- საერთო მონაცემთა ბაზები/საინფორმაციო სისტემები.

ბ. თანამშრომლობა შედეგების საფუძველზე
სამიზნე ჯგუფების მომსახურებით უზრუნველყოფა
- მხარდაჭერა/ნაკლოვანებათა გამოსწორება/მიმართვა სამიზნე ჯგუფებზე;
- საქმიანობის კოორდინაცია კონკრეტული მიმართვა სამიზნე ჯგუფებზე ა.შ.
- პროდუქტებით/აქტივობებით სამიზნე ჯგუფების/ერთობლივი პროექტების ერთობლივად უზრუნველყოფა;
- საქმიანობის ერთობლივად დაგეგმვა;
- ერთობლივი/კოორდინირებული წარდგენა;
- პროდუქციის/მომსახურების/წარმოებისა და წარდგენის საერთო სტანდარტები.

გ. თანამშრომლობა ინვესტირების ეტაპზე
პროდუქციით/აქტივობებით ერთმანეთის ერთობლივად/კოორდინირებულად უზრუნველყოფა
- ერთობლივად დაგეგმვა;
- მასალების/აღჭურვილობის შესყიდვა;
- შენახვა;
- კვლევა/მეთოდების შემუშავება;
- საქმიანობის წარდგენა;
- პროდუქციით/აქტივობებით უზრუნველყოფა;

- თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება;
- მმართველობის საკონსულტაციო სამსახურები;
- ტექნიკური სამსახურები;
- ფინანსების ხელმისაწვდომობა.

დ. ერთობლივი ან კოორდინირებული ზეგავლენა/ზეწოლა პოლიტიკაზე:
- კონსულტირება პოლიტიკის საკითხებზე/ ზეწოლა პოლიტიკაზე;
- ერთობლივი საქმიანი ურთიერთობები/პირობები (ფილიალები/ დამხმარე ორგანიზაციები;
- დაცვა;
- ლობირება.

შეთანხმებათა კომპონენტები

ზოგადად პარტნიორებს შორის (ფორმალური და არაფორმალური) შეთანხმებები უნდა განიხილავდეს, მინიმუმ, შემდეგ საკითხებს:

- მიზნები;
- საქმიანობა;
- ფინანსები;
- ამოცანები;
- გრაფიკი;
- კომუნიკაცია;
- კოორდინაცია/ლიდერობა;
- მონიტორინგი და კონტროლი.

თანამშრომლობა

ორგანიზაციების თანამშრომლობა მიზნად ისახავს საკუთარი **ეფექტიანობსა** და **პროდუქტიულობის**, ასევე გადარჩენის პერსპექტივების **–მდგრადობის და უწყვეტობის** ზრდას

ეფექტიანობა
ქსელის მიერ არსებული საშუალებების გამოყენება, ურთიერთობების გამოყენება, ურთიერთობების გაუმჯობესება.

პროდუქტიულობა
ქსელის ფარგლებში თანამშრომლობა უწყობს ხელს არსებული რესურსების სათანადოდ გამოყენებას

მდგრადობა
ქსელური თანამშრომლობის გადარჩენის პერსპექტივა. ეს პერსპექტივა დამოკიდებულია ქსელის საკოორდინაციო მექანიზმებზე: მაკავშირებელი ძალები,

რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციების თანამშრომლობას და დესტრუქციული ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგება მას ან აღძრავს კონკურენციას ქსელის შემადგენელ რგოლებს/ორგანიზაციებს შორის.

თანამშრომლობის პროცესის შესაძლო პრობლემები

- წონასწორობის დარღვევა: ერთი მხარის მიერ მიღებული სარგებლიანობა აარბებს მეორისას;
- ხელშეკრულებების შეუსრულებლობა;
- დროის გრაფიკის დაუცველობა;
- ამოცანების შესაბამისი სამუშაოს შესრულების უუნარობა;
- პრიორიტეტულობა (საკუთარი ორგანიზაციის ინტერესების);
- უნდობლობა;
- დეზინფორმაცია/გაუგებრობა;
- მომსახურების გრაფიკის დაუცველობა;
- არასათანადო ხარისხის აქტივობები;
- კონფლიქტური პიროვნებები;
- საერთო ინტერესები/მიზნები არასაკმარისად მნიშვნელოვანია ან არ არის ნათელად წარმოჩენილი;
- ოპორტუნიზმი (იმის მოლოდინი, რომ ქსელის მიზნების განსახორციელებლად საჭირო ყოველგვარ საქმეს სხვები შეასრულებენ).

ქსელის განვითარების ფაზები

ორგანიზაციული ქსელის განვითარებას წინ უნდა უძღვოდეს შემდეგი ფაზები:

ფაზა 1. ორიენტაცია/გაცნობა

ინფორმაციის გაცვლა შემდეგ საკითხებზე:

- პარტნიორების საქმიანობა (პროდუქცია, აქტივობები და მიზნობრივი ჯგუფები);
- პარტნიორთა მუშაობის სტილი (ორგანიზაციული მიდგომა);
- მათი ფინანსური სიძლიერის არსი;
- მომავლის მოლოდინი;
- ინფორმაციის გაცვლა ძირითად პრობლემებზე.

ფაზა 2. ქსელის პარტნიორთა არაფორმალური თანამშრომლობა

- ერთჯერადი ხელშეკრულებები, ურთიერთდახმარება;
- მეთოდებისა და სტრატეგიების, ძლიერი და სუსტი მხარეების ურთიერთგაზიარება.

ფაზა 3. ქსელის პარტნიორთა ფორმალური თანამშრომლობა

- საერთო ფაქტორების/პრობლემების განსაზღვრა: საერთო პროდუქცია/აქტივობები;
- ორგანიზაციული პრობლემები და პერსპექტივები;
- ერთობლივი კამპანიების პრობლემები და პერსპექტივები;
- ფინანსური პრობლემები და პერსპექტივები;
- შეთანხმებები საქმიანობის, მოვალეობათა შესრულებისა და საპასუხო მომსახურების შესახებ;
- პროდუქტიულობისა და მოქნილობის განხილვა;
- მოსალოდნელი ინვესტირება თანამშრომლობაში და მოსალოდნელი სარგებლიანობა;
- თანამშრომლობის საფუძველი (მოთხოვნები, კრიტერიუმები);
- საინვესტიციო რესურსების (დრო, ფული და ა.შ.) განაწილება;
- საოპერაციო ხარჯების განაწილება;
- სარგებლიანობის განაწილება;
- უფლებების/პასუხისმგებლობის განაწილება;
- საკოორდინაციო მექანიზმები.

4. ინსტიტუციონალიზაცია

- დაგეგმვაზე ორიენტირებული პროცესი;
- მიზანი პოლიტიკის დონეზე;
- ორგანიზაციული სტრუქტურა;
- ორგანიზაციათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმები;
- იურიდიული სტრუქტურა;
- საერთო მიზნების/პროცესების მონიტორინგი და კონტროლი.

გენდერული ტერმინოლოგია

სქესი - მამაკაცებისა და ქალების განმასხვავებელი ბიოლოგიური საფუძველის მქონე კატეგორია

გენდერი – ა) კულტურით განსაზღვრული განსხვავებანი ქალურობას და მამაკაცურობას შორის;
ბ) სოციალურად კონსტრუირებული სქესი, რომელიც წარმოადგენს კულტურაში ჩამოყალიბებულ თვისებათა, სოციალურ ქცევათა და ურთიერთობათა ნაკრებს, რომელიც მიეწერება ქალსა და მამაკაცს.
გ) სოციალური პროცესების გაგების ერთ-ერთი ინსტრუმენტი.
დ) არსებითი სახელის გრამატიკული სქესი (გვარი)

გენდერული სტერეოტიპები - ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებები ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებზე და სოციალურ ქცევაზე.

გენდერული ბალანსი – იხ. გენდერული წონასწორობა. მდგომარეობა, როდესაც დაცულია ქალებსა და მამაკაცებს შორის რაოდენობრივი წონასწორობა, რაც განაპირობებს გადაწყვეტილების, ძალაუფლების, უფლებების და თავისუფლებების თანაბარ განხორციელებას. მაგალითად თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში.

გენდერული როლები - კულტურაში არსებული მოლოდინები იმის შესახებ, თუ რა არის შესატყვისი ქცევა კაცისთვის და ქალისთვის

სექსიზმი - ადამიანთა დისკრიმინაცია მათი სქესის საფუძველზე

ანდროცენტრიზმი - ანუ მამაკაცზე ცენტრირებულობა. ამაში იგულისხმება როგორც მამაკაცთა ისტორიულად უპირატეს სქესად აღქმა, ასევე ამგვარი აღქმის საფუძველიც: ის, რომ მამაკაცი და მისი გამოცდილება გამოცხადებულია ნორმად და ნეიტრალურ სტანდარტად, ხოლო ქალი და ქალისეული გამოცდილება განისაზღვრება როგორც ნორმიდან გადახრა

გენდერული სტრატიფიკაცია - მამაკაცთა და ქალთა დაყოფა კლასებად, სტატუსებად და საქმიანობის სახეებად მათ მიერ შესრულებული შრომის მიხედვით: მწარმოებლური მამაკაცისთვის და შიდაოჯახური - ქალისთვის. შესაბამისად მამაკაცის მოქცევა იერარქიის ზედა საფეხურზე, ხოლო ქალისა ქვედაზე.

გენდერული მიდგომა - მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია ჩამოაყალიბოს და განამტკიცოს პიროვნების თვითრეალიზაციის თანასწორი და სქესისგან დამოუკიდებელი შესაძლებლობის პოლიტიკა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. გ.მ. გულისხმობს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ქალსაც და მამაკაცსაც, მათ როლებს, მოვალეობებს, მოთხოვნილებებს, პოტენციალს. გენდერული თანასწორობის საკითხის პრიმატი.

გენდერული იდეოლოგია – იდეების სისტემა, რომელთა საშუალებით გენდერული განსხვავებები და გენდერული სტრატიფიკაცია იძენს სოციალურ გამართლებას.

ქალთა ლიდერობა – ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების შემუშავებისა და მიღების პროცესში სახემწიფო და საზოგადოებრივი მართვის სხავადასხვა დონეებზე.

ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში – გენდერული მიდგომის და მეინსტრიმინგის ძირითადი მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს ქალების ჩართვას საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული მართვის სტრუქტურებში. ამასთან მონაწილეობა ეხება ქალების არა მხოლოდ ფიზიკურ ყოფნას ამ სტრუქტურებში, არამედ მათი პოზიციის აღიარებას და პატივისცემას. ქ. მ. გადაწყვეტილების მიღებაში ეხება ასევე ოჯახის, თემის ან კერძო სექტორის სფეროებსაც.

პატრიარქატი - საზოგადოებრივი ურთიერთობების ტიპი, რომელიც ეფუძნება მამაკაცთა ბატონობას და ქალების დამორჩილებულ, მეორეხარისხოვან მდგომარეობას. მისი ანტიპოდია ***მატრიარქატი***.

ფემინიზმი - ქალთა მოძრაობა თანასწორობისთვის მამაკაცთან ცხოვრების ყველა სფეროში

შრომის განაწილება სქესობრივი ნიშნით (შრომის გენდერული განაწილება) – ქალთა და მამაკაცთა შრომის და ფუნქციონირების განაწილება, რომელის შედეგად ქალს დაკავებულია რეპროდუქციული, ხოლო მამაკაცი პროდუქციული სფეროებით და რომელიც იწვევს საზოგადოებაში და ოჯახში სქესთა უთანასწორობას – პირველის დაქვემდებარებულ, ხოლო მეორის დომინანტურ პოზიციას. შრომის ბაზარზე შ. გ. გამოიხატება პროფესიულ სეგრეგაციაში (იხ.)

<u>გამოყენებული მასალა</u>:

1. *გენდერული ტრენინგი* – ადაპტირებული მასალა Shevolution, Gender Equity &Awareness, Lesly Abdela.
2. *გენდერი, გენდერული სტერეოტიპები* – ადპტირებული OSCE/ODIHR პროგრამის "ქალთა კოალიციის შექმნა" მასალებიდან.
3. *ქალი მვიდობისმშენებლობაში* – ადპტიებული მასალა UNIFEM –ის ტრენინგიდან კონფლიქტის მოგვარება, მშვიდობის მშენებლობა და ქალის როლი მშვიდობისმშენებლობაში, Eilin Boris. *ადამიანის უფლებები, ქალის უფლებები* – პროგრამის "ქალის უფლებები, გენდერული ტანასწორობა და ქალის მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში " მასალიდან (*ODIHR), Shevolution*
4. *ადგილობრივი თვითმმათველობა* – მასალა მომზადებულია თ. აბრამიშვილისა და მ. კუპრავა-შევაშიძის მიერ
5. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა და გენდერულ სფეროში – ლელა ხომერიკი
6. *ქალთა მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში და ამომრჩეველთა განათლება* – მასალა ურბანული ინსტიტუტის პროექტიდან ადგილობივი თვითმმათველობისა და თვითმმართველობის რეფორმა, 2002 წ. ნ. ციხისთვი.

7. *ქსელური მუშაობა* – ადპტირებული CTC მასალებიდან
8. *შესრულებული სამუშაოს შეფასება* – ურბანული ინსტიტუტის მიერ მომზადებული მასალიდან
9. "ჰარმონიული საზოგადოებისკენ", ტალინი 2000 წ.;
10. **Mainstreaming Gender in the European Union;** Harvard Law School • Cambridge, MA 02138

კავკასიის ქალთა ქსელს (CWN) შესახებ:

1996 წელს კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა მხარი დაუჭირა ქალთა თანასწორობის საკითხების მეცნიერული შესწავლის საჭიროებას და 1997 წლის აგვისტოდან ინსტიტუციური მხარდაჭერა გაუწია ახლადშექმნილ ჯგუფს – 'კავკასიის ქალთა ქსელს' (CWN), რომელმაც ათი წელი იმუშავა ცენტრის ჭერქვეშ და შემდეგ დამოუკიდებელ ორგანიზაციად დარეგისტრირდა (2007 წ.).

კავკასიის ქალთა ქსელში გაერთიანებულმა ადამიანებმა მრავალი კვლევითი, საგანმანათლებლო და საკანონმდებლო ცვლილებათა მომზადების პროგრამებით მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ქალთა თანასწორობისა და პოლიტიკური მონაწილეობის ზრდას ქვეყანაში, რათა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისა და ადამიანთა უსაფრთხოების მიმართულებით ქალთა და გოგონათა საჭიროებები ყოფილიყო გათვალისწინებული სახელმწიფო პოლიტიკის შექმნისა და განხორციელებისას.

კავკასიის ქალთა ქსელის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა რამოდენიმე კოალიციის, რეგიონული ქსელის, ლობირების დროებითი და სახელმწიფო სამუშაო ჯგუფების შექმნას და მნიშვნელოვანი საქმიანობით დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის დემოკრატიზაციის ვექტორზე.

***